035040 1905

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	საჩუქარი ლექსი—შიო მდივანელისა	3
II	შოშია ამბავი რუსულიდან—ს. დ—ისა	5
III	ირმების ბელადი თარგმანი—ტასოსი	6
IV	ოჯახის დარაჯნი გადმოკეთებული—სონა ციციშვილისა	8
V	ორი ბაყაყი (ინგლისურიდან)—ან. დ—ძესი	17
VI	ღატაკი მდიდარი ზღაპარი—ალ. ბარნოვისა	21
VII	დედობილი (რუსულიდან)—ალ. ბარნოვისა	23
VIII	წვრილმანი: უცნაური შეიდიანი, ანდაზა, აკროსტიხი და შარადა	29
IX	სონა ციციშვილის ნეკროლოგი——ეკ. გაბაშვილისა	30
X	მეფის რაში ზღაპარი—ალ. ყაზიბეგის ხელნაწერიდან (დასასრული)	33
XI	რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში (გაგრძელება—ალ. სარჯიშვილისა	49
XII	ხელმწიფე და პატარა მზარეული ჩინური ზღაპარი (თარგ.) —ან. წერეთლისა	59
XIII	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან—ინისა	65
XIV	ახსნა	68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო ივნისის «ჯეჯილის» ნომრის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა.

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ VI

წელიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Іюня 1905 г.



საჩუქარი.

ეორგიმ კნუტი მაჩუქა,
თუშმა მომგვარა ფუბითა;
ტასიკო, თამრო და ნინა
ფისიკოს შეხვდენ ჩხუბითა.

ტასო ამბობდა: ჩემია,
თამრო ჭლინკებზე დგებოდა,
ნინო-კი სულ სხვას იძახდა
დებივით არა წყრებოდა.

ეს ჩვენი საქმე ქალებო,
მოდი მივანდოთ ღვთისოსა,
იმანა ჰკითხოს ჩვენ სამში
ვინ უფრო უნდა ფისოსა.

თუ არა,— იყოს რიგ-რიგით,
დღეს ჩემთან, ხვალე შენთანა,
ზეგ ტასიკოსთან და მაზეგ
ხელ ახლავ ისევ ჩემთანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს მოეწონათ დის სიტყვა,
არცა სტყუოდა კუკუნა;
მაგრამ არ სჩანდა ალარსად
ჩვენი პაწია კრუტუნა.

იმათ თათბირში დედასთან
გაპარულიყო ფისუა;
სამივეს ტირილს ერთოდა
ალერსიანი „ჩუ“ — „სუა!“

«გენაცვლოთ დედა, ნუ ტირით
მაგრე მალალის ხმითაო,
ფისო დედასთან წავიდა
რომ გაიჭიკნოს რძითაო.

დღეს იმან ჩვენი სახლ-კარის
გზა-კვალი დაისწავლაო,
გაძღება დედის ალერსით
და ისევ მოვა ხვალაო.

შ. მღვიმელი.



შოშია.

ერთს ხნიერსა და გამოცდილს მონადირეს ჰყავდა ნასწავლი შოშია. პატრონს შოშია დუქანში უჯდა და აცინებდა ყველას, რადგან ლაპარაკი იცოდა.

როცა მონადირე დაუძახებდა: „შოშია, სადა ხარო?“ ის იმ წამსვე მიუგებდა: „აქა ვარო!“

ერთი მეზობლის ბავშვი, კარლოსი, შეეჩვია ამ შოშიას და ხშირათ მიდიოდა მის სანახავათ. ერთხელ კარლოსი მივიდა დუქანში და პატრონი-კი შინ არ იყო. კარლოსმა დაიჭირა შოშია, ჩაისვა ჯიბეში და აპირებდა შინ გაპარებას. ამ დროს აკი გაჩნდა მონადირეც. მან შენიშნა, რომ შოშია აღარ იყო თავის ალაგას; მიხვდა, სწორეთ კარლოსს უნდა ჰყავდესო და დაიძახა: „შოშია, სადა ხარო?“ შოშიამ იმ წუთშივე ამოსძახა ყმაწვილის ჯიბიდან: „აქა ვარო!“

ს. დ.

(ნათარგმნი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმეგის გელადი.

ირმები ცხოვრობენ ტყეში ხროვათ, გუნდ-გუნდათ, ერთათ იკვებებიან ტყე-ღრეებში, ერთათვე იცავენ თავს გარეულ მხეცებისგან და ადამიანებისგან.

ამ გუნდის ბელადათ არის ხოლმე გამოცდილი, მოხუცი ირემი. როდესაც ირმები სძოვენ ბალახს ბელადი უდარაჯებს; თუ შეამჩნია რომ საშიში რამ არის, ან მოესმა ხმაურობა, მაშინვე ატყობინებს თავის ამხანაგებს და უბედურების ასაცდენათ შეჭყავს ისინი შუაგულ ტყეში.



ირმის გუნდს ერთხელ ერთი გულადი ბელადი ჭყავდა. ყველას უყვარდა, ყველა პატივსა სცემდა და მის ბრძანებას ყველა დაუყოვნებლივ ასრულებდა.

ეს ირმის გუნდი ერთხელ გაიშალა მწვანე ბალახით შემკულ მინდორზე საძოვრათ. ბელადი ჩვეულებრივ უდარაჯებდა, ურადღებით ადევნებდა თვალს და სმენათ იყო გადაქცეული.

ერთბაშათ ბელადს მოესმა შორიდან ძაღლის ყეფა, მაშინვე ოაკისებურათ ანიშნა ირმებს: «გაიქეცით საჩქაროთ ტყეში და მე-კი მონადირეებს გზას დავუბნევ, სხვა მხარეს წავიყვანო».

თქვა და გაექანა ძაღლების შესახვედრათ, მაგრამ მიირბინა თუ არა, მაშინვე გადაუხვია გზას, განგებ ნელა გაიქცა. ძაღლებმა და მონადირეებმა დაინახეს თუ არა ბელადი ირემი, გამოუდგენ იმას და ასე აშორდენ ირმის გუნდს.

უცბათ მოისმა თოფის გრიალი და ტყვია ბელადს ფეხში მოხვდა. საბრალო დაკოდილი გაეშურა ხრამისკენ, ერთი თვალის დახამხამებაზე გახტა და ჩავარდა ხრამში — ჩირგვებში.

ღამეა, გდია დაკოდილი, ფეხ-მოტეხილი ბელადი. ჭრილობა საშინლათ ტკივა, სევდით მოცული მარტოთ მარტოა... ირმის გუნდი ხომ გადაარჩინა უბედურებას! გავიდა ორი დღე და ღამე... მოკვდა საბრალო ირემი.

ირმის გუნდი კვლავანდელივით ფარფაშობს ტყეში. ბელადათ ახლა სხვა ჰყავთ. მაგრამ ირმებს არ დავიწყებიათ თაკისი ადრინდელი, მათთვის თავ-დადებული, ბელადი. ამის მაგალითი ყველა ირმებს თვალ-წინ უდგა, რომ გაჭირების დროს ძმამ ძმას უნდა უშველოს.

ტასო.

(თარგმანი)

ოჯახის დარაჯნი.



ამდენჯერ უნდა გაგიმეორო, შვილო, ეუბნებოდა თებროს დედა მისი მელანო—ჯერ ქათმები გამოუშვი და აჭამე, მერე ღორები, თორემ საჭმელს შეუჭამენ ქათმებს, თუ წინეთ ღორები გამოუშვი. მერე ძროხა ჩამოწველე, დედა გენაცვალოს, რმე ფთხილათ აადუღე, ქოთანი გამორეცხილია და საკუჭნაოში მაწვნების გვერდითა სდგას; ჩაასხი შიგ რმე და როცა შეცივდეს, შეაუენე. ჩვენ, შვილო, ცოტა დაგვიგვიანდება. წეღან ხომ გითხარ, ჩვენი ეანა შორს არის. დაბინდებამდის მკას მოვუნდებით, მერე ბნელაში ხომ ვერ დავძირავთ, უნდა მთვარის ამოსვლას ვუცდოთ, ასე რომ გათენებისას ძლივს მოვალთ შინ და შენ უნდა ეველაფერს უგდო ეური.

— კარგი, დედა, ახლა გავიგე, ეველაფერს ვუგდებ ეურსა. მორჩილათ უპასუხა დედას თოთხმეტი წლის თებრომ.

— საკუჭნაოს კარი ღია არ დაგრჩეს, შვილო, თო-

რემ ი ვერანა დედა-ღორი გაწუწკებულია და ქოთნებს სულ დამიმტვრევს და დავიღუპები. ხო იცი ერთი კვირის ნაგროვი მაწვნები შეუენებული მიდგია, ხვალ უნდა შევდღვიბო.

— ჯავრი ნუ გაქვს, დედი, ეველაფერს დავაბინავებ, არა დამავიწუდება-რა, იმეორებდა შავ თვალ-წარბა თებრო და თან ეხმარებოდა დედას, რომელიც გაჩქარებული ალაგებდა სამკალათ გამზადებულ ქმარ-შვილისათვის საჭმელ-სასმელს.

მალე ურემიც შეაბეს, ჩაალაგეს შიგ ეველა სანოვაგე და იარაღი, რაც კი სამკალათ იუო საჭირო: ცელი, სალესავი, ორთითი, ფიწალი, ფოჩხი და საბელი. ურემში მოიკალათა მელანიმაც თავისი ძუძუ-მწოვარა ბავშით. გვერდით მოუჯდა ოჯახის მამა თეოდორე. ურმის კოფოზე გამოიჯიმა უფროსი შვილი, თექვსმეტი წლის ჯან-საღი ბიჭი ლექსუაც. წასვლის წინეთ მამამაც მიმართა შვილებს დარიგებით:

— აბა, თებრო, შენ ჩემი ეოჩაღი გოგო ხარ, იმედი მაქვს ეველაფერს ეურს უგდებ, შვილო, ხაკუჭნაოს დაკეტვა არ დაგავიწუდეს, თორემ დავიღუპებით, ჩვენი სარჩო შიგ არის. ეველაზე უფრო ი რკინის ღვედის ჯავრი მაქვს, ძლივს გავაკეთებინე. თქვენცა, ეაჩაღებო, არ იგიეოთ, თებროს მოეხმარეთ, დღეს ეს თქვენი დედა იქნება. მიუბრუნდა თეოდორე დანარჩენ შვილებს ტიტოს, სესეს და ნიკას, და თითო ჰანტა გადაუგდო.—ძილი რომ დააჰირეთ ოდის კარები მაგრათ ჩაკეტეთ. მართალია ჩვენ სოფელში საშიში არაფერია, მაგრამ რა ვიცი, უბრალოთაც რომ რამე და-

ბრასუნდეს შეგეშინდებათ, ისეთი ვაჟკაცები მეევსართ, თქვე მამაცსონებულებო, ღიმილით დაუმატა თევდორემ.

— როგორც-კი ეველაფერს დავაბინავებ, მაშინვე კარებს ურდულს გავუკეთებ—ცოტა დაფიქრებით მიუგო თებრომ.

— აბა ერთი ვინმე მოვიდეს, ვნახოთ რას ვუზამ—გულადათ წამოიძახა ათი წლის ტიტომ.

— მე არაფრისა არ მეშინიან, აბა ვინმე გაბედოს, ისეთსა ვდრუზავ კომბალსა რომ!—დაუმატა ექვსი წლის სესემ.

— მე ჯერ ქვებს ვესვრი, აი შურდული, და თუ ახლო მოვიდა წიხლებს მივარტყამ—ბურტყუნებდა ოთხი წლის ნიკა და თან ჯავრით თვალები ეცრემლებოდა, რომ დედას ის არ მიჭუავდა სამკალათ.

— აგრე, აგრე, ჩემო ვაჟკაცებო, ჩემო სახლის დარაჯებო, თქვენ გენაცვალოთ დედა!.. სიამოვნებით წაილაპარაკა მელანომ და გაუდგენ გზას უანებისაკენ, რომელიც სოფელზე კარგათ მოშორებით იყო.

მთელ დღეს არ დაუსვენია თებროს. ბევრი წვრილმანი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და ცდილობდა არაფერი დავიწყებოდა და დედისათვის ეველაფერი გაკეთებული დაესვედრებინა. გააკეთა კიდეც, მხოლოთ ძმებმა გაუჭირეს საქმე უფროსი ტიტო თვალითაც არ დანახვებია მთელ დღეს, მაგრამ სესემ და ნიკამ მოაბეზრეს თავი: ეოველ წამს ხან ჰურსა თხოვდენ, ხან ერთმანეთში ჩხუბი მოსდიოდათ და

ტირილს დაიწყებდენ ხოლმე, სან წიწილ-კრუხს დაერეოდენ და აფორიაქებდენ. ერთის სიტყვით დაიტანჯა საწყალი თებრო, მთელ დღეს ციბრუტივით იტრიალა. საღამოს ძროხა რომ მოუვიდა ნახირიდან და საჩქაროთ ჩამოწველა, ძროხა ბაკში შეაგდო, რძე აადუღა, ჩაასხა ქოთანში და როცა შეცივდა კოვზით ცოტა მაწონი ამოიღო სხვა ქილიდან, ჩასხა შენელებულ რძეში, მოურია, სამჯერ დაუწრუწუნა, კერასავით იქეცია, წაულაპარაკა და ქოთანი ლურჯ სუფრაში შეახვია.

ეველა ამაებს რომ მორჩა თებრო, ძმებს დაუწყო ძახილი—დროა ახლა სახლში შემოსვლისაო. მოგროვდენ ძმებიც. მთელი დღის ცელქობა-თამაშობისაგან ისე იყვენ დაღალულ-დაქანცულები, რომ იმ წამსვე ძილი მოინდომეს. თებრომაც ლოგინი დაუგო და არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ძმებთან ერთათ ისიც ტკბილ ძილს მიეცა.

უცებ შუაღამისას თებრო რაღაც ხმაურობამ გამოაღვიძა. გულის-კანკალით წამოჯდა ლოგინში და ეურის გდება დაიწყო... საკუჭნაოში ვიღაც დადიოდა, თითქო კიდეც ლაპარაკობდა, რაღაც გაუგებრათ ბურტეუნებდა!..

— ეს რა ამბავია! შიშით წაიბუტბუტა თებრომ – საკუჭნაოში არიან... მგონი ორნი, თუ სამნი!.. ქურდებია! ქურდები!.. რაც-კი რამ გვაბადია ეველაფერს წაიღებენ... ნეტა მამას რკინის ღვედი მაინც არ წაიღონ. ტიტო, ტიტო!.. სესე, სესე!.. ქურდები შემოსულან საკუჭნაოში! ეჩურ-

ჩულებოდა თებრო მმებს და რაც ძალი და ღონე ჭქონდა ანძრევდა, ცდილობდა გაეღვიძებინა.

— კურდღელი... კურდღელი... დედაააა! დაიჭი ბიჭო... ნელა, ნელა, ხრამში არ ჩავარდე! წაილაპარაკა ტიტომ და ისევ გულიანათ ჩაეძინა.

— ტიტო, ტიტო! გაიღვიძე, ბიჭო! ქურდები არიან, ყველაფერს წაიღებენ! თითქმის ტირილით ჩასძახოდა შეშინებული თებრო მძინარე ტიტოს.

ამ დროს საკუჭნაოში რაღაცაც დაიბრახუნა, თითქო რაღაც ჩამოვარდა და გატეხდა, საშიშარი ხმა გაისმა. ტიტო ასლა-კი ზეზე წამოვარდა და გულ-გახეთქილი ორივე ხელებით თებროს მოეჭიდა.

— საკუჭნაოში ქურდებია... სულ ყველაფერი მიაქვთ... ნაწუვეტ-ნაწუვეტათ გაიძახოდა თებრო.

— მეშინიან, მიშველე, დაგვხოცენ! ხმის-კანკალით გაიძახოდა ტიტო და თებროს ხელს არ აშორებდა.

საკუჭნაოში-კი შეუწუვეტლათ გაისმოდა ბრახა-ბრუხი, თითქო რაღასაც ამტვრევდენო, ბოლოს კარებსაც მოაწვნენ. გამოეღვიძათ სესესა და ნიკასაც და მორთეს ტირილი.

— ششش! ჩუმათ იყავით, გენაცვალეთ, ქურდები არიან და თუ ჩვენი ხმა გაიგონეს, ყველას დაგვხოცენ, ხმის-კანკალით არიგებდა მმებს თებრო.

— რაღა ვქნათ!.. რა გვეშველება... დაგვხოცენ. ბუტ-ბუტებდა ტიტო.

— დამიდგეს თვალები, სულ გაზიდვენ ყველაფერს, რა უბედურებაში ჩავარდი! დედა და მამა თავებს დაიხოცენ. საბოლოოდ ამბობდა თებრო.

— მოდი შეკიდეთ და ვუთხრათ, რომ ჩვენ იმათი არ გვეშინიან, შევატყობინოთ რომ ოთხნი ვართ და ამ წამში დედ-მამა და ლექსოც მოგვეშველებიან, ცოტა უფრო გულადათ დაუმატა ბოლოს თებრომ.

— არა, არა! დაგვხოცენ... მეშინიან, გულ-გახეთქილი უარობდა ტიტო.

— ვაი, ვაი, დაგვხოცენ... შეღრიალეს სესემ და ნიკამ, და უფრო მაგრათ მოეჭიდენ თებროს.

— ყველაფერს გაალაგებენ და უფრო ცუდი იქნება... უთხრა თებრომ—წამოდით, ლაპარაკის დრო არ არის. ტიტო შენ თონის საჩხრეკი აიღე. სესე, აბა შენი კომბალი დაიჭირე. ნიკა, გაუშვი, ბიჭო, ჩემ ჰერანგს ხელი და აჭა სატყეპელა დაიჭირე, მეც ლექსოს ჩობახს მოვიმარჯვებ... აბა მომყევით უკან! ნუ გეშინანთ, აქეთ, აქეთ!..

ასე მწკრივათ ოთხივე და-ძმები გაემართენ კარებისაკენ, თუმცა გულის-კანკალით, მაგრამ გაბედულათ, თებრო წინ და ძმები უკან.

— თქვენ ეი, ქურდებო! დაიკარგეთ აქედან! ჩვენ აქ მარტოკა-კი არა ვართ! შეჭვევრა თებრომ და გაალო კარი. შეიქნა უარესი ბრახა-ბრუხი. ბავშები ახლა უფრო შეშინ-

დენ, კუთხეში მიიუჟეენ და სულ-განაბულები ელოდენ ქურ-
დების თავ-დასხმას. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— წამოდით. ახლა გვიანდაა. ხომ გაიგეს რომ აქა
ვართ. თქვენ ეი, ქურდებო დაიკარგეთ მეთქი, არ გესმით?
აგერ დედა და მამაც მოვიდენ. შეჭეეირა თებრომ და ჩობა-
ხით ხელში ეცა საკუჭნაოს კარებს და... სახტათ დარჩა!

— ღორები ეოფილან!!.. ერთხმათ შეჭეეირეს ბავშებმა.

— დამიდგეს თვალები! რა უქნიათ ამ საეერანოებს.
მაწვნის ქოთნები სულ დაუმტვრეეიათ! იმახდა შეწუხებული
თებრო და იკემდა ლოეებში ხელებს. ძმები-კი გულიანათ
სარხარებდენ.

— მააამოოჭო! გაისმა ლექსოს ხმა და ჩვენი გმირე-
ბის დედ-მამის ურემი ეზოში შემოგორდა.

ვერაფერი სასიამოვნო სურითი დაინახეს თედორემ და
მელანომ: საკუჭნაო მთლათ მაწვნით მოთეთრებული, ქოთნე-
ბი დამტვრეული და საბრალო თებრო მდუღარე ცრემლით
მოტირალი.

— ჩემო დედა, მაპატიეე ეველაფერი ისე გავაკეთე, რო-
გორც შენ დამიბარე, მაგრამ საღორის კარების დაკეტვა-კი
დამავიწყდა და იმ საეერანო ღორებს საკუჭნაოს კარი და-
უმტვრეეიათო. ტირილით ეუბნებოდა თებრო დედას.

ბარემ გული მოუკვდა მელანოს თავისი კოხტა ქოთ-
ნები, რომ დამტვრეული ნახა და მთელი კვირის ნაგროვი
მაწონი დაქცეული, მაგრამ რაღას უშველიდა.



ბატონი ძაღლი

— შენ მოუკვდი დედას, რა კარკათ სახლი შენ დამახვედრეო—ერთი მიაძა მელანომ და შებრუნდა სახლში.

— ვაჟკაცებო, თითქო არაფრისა გეშინოდათ? სიცილით შეეკითხა მამა თავის სამ ვაჟს.

— ეოჩაღი ბიჭები არიან, მაგრამ ვაჟკაცობაში ღორებმა აჯობესო—დაუმატა ლექსომ.

გათენდა. მთელი ოჯახობა დილის საუზმეს შემოუსხდა. ბავშები სიცილ-სარხარით უამბობდენ დიდებს თუ როგორ ემზადებოდენ ღორებთან საომრათ. უველა მხიარულათ იუო. ბავშების საუვარელი ბარდანა ძაღლიც სახლის გვერდზე სალაფავის გობში ჩამჯდარიუო და დაფიქრებით გამოიუურებოდა. მას გარშემოხვეოდენ ღორები და მხიარულათ ჭუვიტინებდენ, თითქო ეუბნებოდენ: შენ მთელ ღამეს სალაფავის გობში იწექი და ჩვენ-კი გემრიელათ მაწონს შეგექცეოდითო.

სონა ციციშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ბაუაური.

(ინგლისურიდან)

ცხოვრობდა ორი ბაუაური. თუმცა ძმები იუვენ, მაგრამ სასიათით ოდნავაც არა ჰგვანდენ ერთმანეთს; ერთი იუო მოძრავი და სიცოცხლით სავსე, მეორე-კი მუდამ დაღვრემილი, მოწუენილი და უსალისო. მაგრამ უოველთვის ერთ და იმავე ადგილს ცხოვრება, ერთი და იგივე ნათესავებისა და მეგობრის ცქერა მხიარულ ბაუაესაც-კი მოსწუინდა და მოინდომა სხვა უცნობ ქვეუნის ნახვა და დათვალიერება. დიდის სიამოვნებით და სალისით გასწია მან უცნობ ქვეუნის სანახავათ, მხოლოთ მარტო-კი არ წასულა, უსალისო მისმა ძმა ბაუაემაც გამოაცხადა სურვილი მასთან გაუოლისა, იმიტომ-კი არა რომ ვითომ მას ესალისებოდა ან ენატრებოდა უცხო ქვეუნების ნახვა, არა, ისე დროს გასატარებლათ. მისტოდა ისიც თავის მხიარულ ძმის გვერდით, რომელსაც მთელი ქვეუანა ახალ წიგნათ მიაჩნდა და რომლისთვისაც უოველი კვერდი ამ წიგნისა ახალ-ახალ სიამოვნებას შეიცავდა.

ზაფხულის შვენიერი დილა იყო. გარშემო მინდვრები დილის ნამით იყო მორწყული და გაცოცხლებული. ჩვენი მგზავრები მიხტოდენ წინ. ხანდისხან გაჩერდებოდენ, შეისვენებდენ და სულს მოიბრუნებდენ. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა შუადღე, სიცხე ძლიერდებოდა და ჩვენი ბაყაყებისათვისაც მგზავრობა აუტანელი ხდებოდა.

— «ეჰ! ჩვენ მალე დავიხოცებით და მოგვეღება ბოლო!» ამოიკვნესა უხალისო ძამიამ.

— ნურასოდეს ნუ ახსენებ სიკვდილს!.. ურჩია მხიარულმა ბაყაყმა.

ჩვენი მგზავრები მიადგენ ერთ მემამულის სახლს, შევიდენ ეზოში და რომ დაინახეს სახლის კარი გაღებული, შეხტენ ოთახში და მიიმალენ კუთხეში, რომელიც დანოტიებულ ძველი ჩვრებით იყო სავსე. როგორც-კი შეძვრენ, ორივეს ტკბილათ ჩაეძინათ და ძილში ეველა დარდი გადავიწყდათ.

საღამო ჟამს ქვაბების ხრაგუნმა, სალხის მისვლა-მოსვლამ და ლაპარაკმა გამოაღვიძა ჩვენი მგზავრები.

— ეს ადამიანები არიან და ახლავე დაგვხოცენ—წარმოთქვა უხალისო ძამიამ.

— თუ-კი მოგვაგნებენ შესაძლებელია დაგვხოცონ, უპასუხა მეორემ.

მიეკვრენ ერთმანეთს ორივენი და სულ-განაბული ელოდენ, რა მოუვიდოდათ, მაგრამ არავინ ჩანდა.

ბოლოს შემოესმათ, რომ ვიღაცაც ქილაში რძე ჩაასხა,

გაიგონეს დედაკაცის მხიარული სიმღერა, ეური მოჭკრეს, რომ ვიღაცაც გადაატრიალა გასაღები და ჩამოვარდა სიჩუმე.

— ახლა-კი გადავრჩით სიკვდილს, მაგრამ რა? მაინც ხომ შიმშილი დაგვხოცავს! ჩიოდა უსალისო ძაღია.

მაგრამ ძმა მას ეურს აღარ უგდებდა, ის კიდეც მოშორებოდა თავის ძმას და მიეგნო თისის ბადიისათვის, რომელიც ნახევრამდის რძით იეო სავსე. რასაკვირველია, ის მაშინვე შიგ ჩახტა, გემრიელათ შეექცა რძეს, ლაკაზათ გამოძღა და თანაც ცოტათ გაისწორა თავისი მოქანცული ფეხები. მეორე ძმამ რომ ეს დაინახა, მაშინვე ისიც ბადიაში ჩახტა და ერთ წამს თავი ბედნიერათ იგრძნო, სასოწარკვეთილება და უიმედობა გადაავიწყდა. მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოთ წამიერი იეო! როგორც-კი შიმშილი დაიკმაეოფილა, უნდოდა ბადიიდან უკანკე ამოძსტარიეო, მაგრამ დახეთ უბედურებას! ბადიის კედლები მაღალი იეო და ეოველმა მისმა ცდამ ამაოთ ჩაიარა. ხან იქით ცდილობდა აცოცებულიეო, ხან აქეთ, მაგრამ ვერას გახდა.

ნამდვილ საჭურობილეთ გადაიქცა მისთვის ეს ბადია!..

— ვაიმე, ვაიმე! განა არ ვიცოდი, რომ ჩვენი ბოლო ეს იქნებოდა! ამოიკვნესა უსალისო ბაუაუმა,—აკი ვეუბნებოდი, რომ დავისოცებით-მეთქი?!

ამისმა მწუხარებამ კინაღამ მხიარული ბაუაუიც-კი დაღონა, მაგრამ ბუნებრივმა სიმხიარულემ დასძლია და უპასუხა მშიშარა ძმას:

— ნუ გეშინია, იცოდე, სანამ ცოცხალი ხარ იმედი არ უნდა დაჰკარგო!

— მე-კი არავითარი იმედი არა მაქვს, არც ახლა და არც შემდეგისათვის, გარდა იმისა, რომ დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოგველის! თქვა ეს უხალისო ძაძიამ და გაჩერდა, დაეშვა ბადიის ძირისაკენ და მალე დაიხრჩო კიდეც.

— სანამ ცოცხალი ხარ იმედიც უნდა გქონდეს! სანამ ცოცხალი ხარ იმედიც უნდა გქონდეს.—ეიეინებდა მხიარული ბაუაეი და თან ტრიალებდა ჯამში.

მთელი ღამე ასე ტრიალში და ბრძოლაში გაატარა და ცდილობდა რძეს არ დაეძირა. როდესაც მზის პირველმა სხივებმა შემოაჭეიტეს ოთახში, ჩვენი მხიარული ბაუაეი სრულებით ღონე გამოლეული და მოქანცული იეო.

და აი სწორეთ ამ დროს, უცნაური რამ შენიშნა ბაუაუმა: იგრძნო რომ მის ქვეშ რაღაც სიმაგრე იეო. უცებ ვერ მიხვდა რა იეო ეს სიმაგრე, რომელიც თითქმის დედამიწის სიმაგრეს მიაგავდა, იგრძნო მხოლოთ, რომ ახლა კი გადარჩენილი იეო. დააშტერდა კარგათ ძირს და დაინახა, რომ მისი მსხნელი სიმაგრე—კარაქი იეო, კარაქი, რომელიც ბაუაეის ტრიალისაგან შედღვებილიეო. დაინახა თუ არა ეს, მაშინვე თავს უშველა და მარდათ გადმოხტა ძირს. თანაც ერთხელ კიდევ დაიეიეინა: სანამ ცოცხალი ხარ იმედიც უნდა გქონდესო.

ან. დი—ძე.

(თარგმანი)

ღატაკი მდიდარი.

(ზღაპარი)

ეო ერთი ღარიბი კაცი. დაწვა ერთხელ დასაძინებლათ, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა; ფიქრმა გაიტაცა საწყალი: «ოხ, რა მნელია ღარიბი ადამიანისთვის ქვეყანაზე ცხოვრება! ნეტა რათ უნდათ ი მდიდრებს, რომ ფულზე ფულს უმატებენ და ინახავენ? ზოგს სკივრები ფულით სავსე აქვს და კიდევ ცდილობს მიუმატოს, თავს-კი შიმშილით იღრმობს. ახ, ვის ფლავი უდგა და ვის აქვს იმტა?! მე რომ სიმდიდრე მქონდეს, მეც კარგათ ვიცხოვრებდი და სხვასაც შევეწევოდი».

ამ ფიქრებში გართულს მოესმა ვიღასიც ხმა: «თუ სიმდიდრე გინდა, აი ეს ფულის ქისა; ამაში სულ ერთი ოქროა, მაგრამ ამოიღებ თუ არა, შიგ მაშინვე მეორე ოქრო გაჩნდება. მოაგროვე რამდენი ოქროც გინდა და მერე ქისა წყალში გადააგდე. სანამ ქისას არ გადააგდებ, არც ერთი ოქრო არ დაჭსარჯო, თორემ ის ოქროები სულ ნაფოტებათ გადაგექცევა».

სიხარულით გონებას ძლივ მოვიდა საწყალი. მერე-კი ხელი მიჭყო ქისას. ამოიღებს ქისიდან ოქროს, ჭსედავს — შიგ მეორე ოქრო ჩნდება. «აბა ბედნიერებაც ამასა ჭქვიან აი, ფიქრობს ის, ამაღამ იმდენ ოქროს მოვაგროვებ, რომ

დიდი მდიდარი შევიქნები. დილაზე ქისას წყალში გადავაგდებ და დავიწყებ ბედნიერ ცხოვრებას».

მეორე დღეს იფიქრა: «რაც იყოს იყოს. მოდი ერთი დღე კიდევ ჩავუჯდები ამ ქისას და მოვაგროვებ ოქროებს». მესამე დღესაც ასე იფიქრა, შემდეგ კიდევ და ვეღარ დაანება თავი ქისას.

ძოშივდა საწყალს, მაგრამ ჰურის მეტი სახლში არაფერი ჰქონდა, რომ გარეთ გასულიყო და გემრიელი რამ საჭმელი ეყიდნა, მაშინ ხომ ჯერ ფულის ქისა უნდა გადაეგდო წყალში, თორემ ოქროები სულ ნაფოტებათ ექცეოდა! ჰშიან საბრალოს, მაგრამ ვერც ქისისთვის დაუნებებია თავი. შეჯამა ხმელი ჰური და დაიწყო ისევ ოქროების გროვება. მეორე დღეს მეზობელს სთხოვა ჰური, საჩქაროთ შებრუნდა სახლში და ისევ მიუჯდა ქისას. გავიდა კვირა, თვე, მთელი წელიწადიც, მაგრამ ფულის ჰატრონი ქისას ვერ სთმობს. «ვის არ უნდა სიკეთე?» ინუგეშებს თავს საბრალო. მათხოვარს გადააგიწყდა, რომ კარგათ უნდა ეცხოვრნა და სხვებსაც შესწევნიო. ხანდისან მოვიდოდა გონებაზე, ქისას მდინარეში გადასაგდებათ წაიღებდა, ბოლოს ვეღარ ემეტებდა და უკანვე ბრუნდებოდა. მთლათ მოხუცდა მათხოვარი, ოქროსავით თითონაც გაუვითლდა, მაგრამ მაინც სულ ქისა ეჭირა ხელში, მთლათ აავსო თავისი ქოხი ფულებით... სიღარიბ-ღატაკეში ამოსძვრა სული და ქისა-კი ხელიდან არ გაუგდია.

ალ. ბარნოვი.

დედობილი.

კუტ, კუტ, კუტ,—ნელ-ნელა კუტკუტებდა კრუსი. იმას თან მოსდევდენ ქორფა წიწილები. საამური სანახავები იყვენ ორი-სამი დღის გამოჩეკილი წიწილები—უვითელი თივთიკის გორგლებსავით დარბოდენ. იმათმა ბაწია შავმა თვალებმა ახლავე იცოდენ საჭმლის ძებნა. ხან რას ჩაჭკრავდენ ნისკარტს, ხან რას.—კრუსი საქმეში იყო გართული. აი წასწვდა რაღაც ჭიას და შვილებს გაუნაწილა. შეხტა, სწვდა ერთ დიდ ბუზს და წიწილებს მისთავაზა: ზოგს ფეხი ერგო, ზოგს ფრთა, ერთს თავი, უფრო მსუქანი ნაწილი უმცროს, კოჭლ წიწილას მისცა: ეს ძალიან სუსტი ჭუავდა დედას, მაგრამ, სამაგიეროთ, გამგონე და მასიამოვნებელი. აგე დედამ უფროსი შვილი დატუქსა.

— აი შე საძაგელო, შენა... ზედ ნისკარტიდან რო ლუკმას აცლი შენ ძმას—გაგონილა?! მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა სხვის დაჩაგვრა! გაურისხდა დედა წიწილას და წაჭკრა ნისკარტი.

ღვთის წინაშე, მაგრა-კი არ ჩაუკრავს. უეცრათ კრუსი

შედგა, ბუმბული აიბუა, ქოჩორი უალხზე დაუდგა, კისერი წაიგძელა. ან-კი როგორ არ უნდა შეშინებულიუო დედა, როცა სატაური კატა ცუდი თვალით უყურებდა იმის წიწილებს? კრუხმა კარგათ იცოდა, რომ კატა იმის შვილებს შეჭმას უპირებდა.

ეშინიან დედას. გული მაგრა უცემს, თავს შეაკლავს მტერს და არც ერთ წიწილას-კი არ დაანებებს!

რა ვუყოთ რომ კატას საშინელი თვალები, ბასრი კბილები და ბჭუალები აქვს! კრუხმა უეცრათ დაიკივლა და ეცა კატას. ნისკარტით სულ გამოუთქვიფა თავი; ამონაგლეჯი ბალანი ნიავს აქეთ-იქით მიჭქონდა. ყურებში საშინლათ ჩაჭყიოდა; თვალები დააკაწრა. თავზარ დაცემული კატა კნაოდა, ბჭუალებს ვეღარ ხმარობდა, ცდილობდა როგორმე თავი დაეხწია კრუხისთვის. ბოლოს, როგორც იუო, გაუსხლტდა კრუხს და მოჭკურცხლა. მაგრამ რა! ცხვირიდან სისხლი სდიოდა; ცალ თვალს ვეღარ ახელდა; თავი კარგა მოტიტვლებული ჭქონდა.

— კუტ, კუტ, კუტ,—უმასის კრუხი შიშისგან აქეთ-იქით გაფანტულ წიწილებს.—აფხორილი კრუხი ნელ-ნელა დაშოშმინდა და ანუგეშა შვილები.

ბედნიერები იყვენ წიწილები. კარგი მაკარველი ჭყვანდათ დედა: არ მოაქმევდა, არ შეაცინებდა, მტერს არ დაუჩაგვრინებდა!.. მაგრამ ერთ ღამეს ეს საყვარელი დედა დაკარგეს წიწილებმა. წყეულ დედოფალას ყელი გამოეღადრა.

როგორ ებრძოლა კრუხი, როგორ გადაარჩინა წიწილები, - ეს არავის უნახავს. არც ერთი წიწილა არ აკლდა.

დილით საქათმის კარები რომ გააღო, ელდა ეცა საწყალ სიდონიას. კრუხი ფელ-გამოღადრული ეგდო, წიწილები შემოჭყვეოდენ და საბრალოთ წივწივებდენ. ბუმბული და დედოფალას ბალანი ბევრი ეყარა; ეტყობოდა, რომ მტერსაც კარგა მოხვედროდა!

ბევრი ითქვიფა სიდონიამ მუხლები, ბევრი იწყევლა, მეზობლები თავზე მოიხვია... «ძე თავ-მკვდარს სხვა კრუხი მაინც მეკანდეს, რომ იმას მიუყარო წიწილები! ახლა ხომ სულ გამიწყდებიან უდედოთ! — ამბობდა თვალ-ცრემლიანი სიდონია.

სიდონიამ წაიღო მკვდარი კრუხი და ღობის ძირში მიწაში ჩამარხა. ეს დაინახა კატამ და ნიშნი მოუგო კრუხს: «ახათ მოგივიდა! აბა ახლა გავიღებ შენი წიწილების გემოს აი!» — მაგრამ ვერც ახლა ელირსა მსუნაგი კატა წიწილების გემოს. იმათ კარგი დედობილი გამოუჩნდათ. ეს იყო მამალი.

სიდონიანთ მამალი მთელ მეზობლების მამლებში გათქმული იყო. მარტო იმისი დეზები ერთ მამლათ ღირდა! იმის ღაბაბს, ბიბილოს და ნამგალსავით მოკავებულ ბოლოს ხომ ქება აღარ უნდოდა! იმის დანახვაზე მეზობლების მამლებს შიშისაგან ჟრუანტელი გაუვლიდათ სოლმე



ტანში. ღვთის წინაშე ძალიან ამპარტავანი იყო სიდონიას მამალი, მაგრამ უსამართლობას-კი ტეუილათ სწამებდენ. თუმცა სხვა მამლები იმას ბოროტსა და უსინიდისოს ეძახდენ, მაგრამ ეს სულ მტრის ენა იყო. ის მართალია ამაყი იყო, მაგრამ გულ-კეთილი.—მკაცრი, მაგრამ სიმართლის მოუვარე.

საცოდავი სანასავები იუვენ დაობლებული წიწილები. ისინი ვერ მიმხვდარიუვენ—რა მოუვიდა იმათ დედას. აღარც საკენკს ჭკენკავდენ, არც წყალსა სვამდენ. შეგროვილიუვენ ერთათ, წივწივებდენ, დედას ეძახდენ.

— კო, კო, კო,— მოისმა უეცრათ მამლის საამური ბოხი ხმა.

— კო, კო, კო,— მიუახლოვდა წიწილებს მამალი და მიუალერსა.

ჰაწაწა ობლები მხიარულათ შემოეხვივნენ იმას. მამალმა კრუხივით ნისკარტით მოუალერსა წიწილებს და ფრთებქვეშ შეისხა ისინი.

გახარებული წიწილები მალე წამოიშალენ და დაუწყეს დედობილს თამაშობა: ზოგი ღაბაბს უკენკავს, ზოგი ნისკარტს, ზოგი ბოლოს, ერთი ცელქი წიწილა ზედ ბიბილოზე მოექცა. ცოტა თამაშობის შემდეგ მამალი ნელი ნაბიჯით გაუძღვა წიწილებს სანაგვისკენ. ღონივრათ გაქექ-გამოქექა ნაგავი, ამოაცოცა დიდი მატლი და გაუნაწილა წიწილებს. კიდევ გაქექა და ახლა უკეთესი მატლი ამოიღვანა. როცა მამალი ჭქექდა, წიწილები შორს გარბოდენ, რადგან მიწა სულ თავ-ჰირში ეურებოდათ. მატლს რო იპოვიდა — ისევ მიეხვევოდენ.

მსუნაგი კატა ნელ-ნელა მიუახლოვდა წიწილებს, გაგექა ნაგავი, მერე მითომ ჩიტს ეპარებოდა, მაგრამ ცალი თვალი-კი წიწილებისკენ ჭქონდა. მამალმა ისეთი ავი თვალით შეჭხედა იმას, რომ კატამ კუდი აიკლაკნა და ხტუნაობით მოშორდა იქაურობას. მამალმა ძლივს-ღა მოჭკრა თვალი იმის მოპლეკნილ თავს.

— ძიბო, ძიბო, ძიბო!.. უძახის სიდონია წიწილებს და ხელში უჭირავს იმათთვის ფეტვით სავსე ჯამი.

— ძიბო, ძიბო, ძიბო!.. სად გადიკარგენ ნეტა ის საცოდავები?!

ამ დროს სიდონიამ დაინახა მამალი, რომელიც მოუძღოდა დაობლებულ წიწილებს. წიწილები ისე ეთამაშებოდენ დედობილს, როგორც მშობელ დედას. უეურა, უეურა სიდონიამ და თვალ-ცრემლიანმა თქვა: «განა ტეუილათ არის ნათქვამი:— ობლის მამა ღმერთიაო!»

ალ. ბარნოვი.

(რუსულიდან)

უცნაური შვიდიანი.



ამ შაეი ქაღალდის ნაჭრებიდან შეადგინეთ 7.

ანდაზა

(წარმოდგენილი მოწ. გრ. ჩხეიძესაგან).

მინდერათ რაც-კი გაიზრდება
ყველა სახლში გამოდგება.

აკროსტიხი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ძმობა-ერთობის მოყვარე ბევრი კარგისა მქნელია;
ამიტომ აქებს მას ერი, რომ აღმართისა მხვნელია.
ლოცვა-კურთხევის ღირსია, დაჩაგრულების მხსნელია,
არ მერწმუნებით, ბავშვებო, უიმისობა ძნელია?

შარადა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

პირველი ფრინავს საზრდოსთვის
როდესაც ღამის ჟამია,
დანარჩენი ოთხ-ფეხი
უღელში შესაბამია.
მრთელი რისაგან შესდგება?
აგურია და ლამი.
ზამთარ-ზაფხულს ისე მიყვარს,
როგორც ერთგული ძამია.

† სონა ციციშვილი.

«ჯეჯილის» პატარა მკითხველებს!

ᲡᲝᲜᲐ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ. უეჭველია, კარგათ იცნობთ ამ სახელს, ჩემო პატარა მეგობრებო? არ შეიძლება რომ გულში არ ჩაგრჩენოდეთ იმ ადამიანის სახელი, რომელმაც „ჯეჯილში“ შეიტანა მშვენიერი თაიგული რამდენიმე საუცხოოდ თარგმნილის და შესანიშნაევის შინაარსის მოთხრობებისა. მაგალითათ: „გულადი“, „მეფეს სძინავს“, „შობის ხე ტყეში“, „ბუს თავ-გადასავალი“, „პატარა დედო-

ფალი“, „საშობაო კოჭი“, „ეასოს საიდუმლო“, „ჭრელი სტეირი“ და სხვა მრავალი, თვით ამ ნომერშიაც არის მისგან გადმოკეთებული „ოჯახის დარაჯნი“.

მონახეთ „ჯეჯილის“ ნომრები, იპოვეთ სონას ნათარგმნი და გადმოკეთებული მოთხრობები, ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ და თქვენ თვალ-წინ გამოიხატება იმ ადამიანის სურათი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან ჰპოულობდა წყაროს სათნოებისას და კაცთმოყვარეობისას, რომ ზედ დაეწაფებინა თავისი სულით და გულით საყვარელი პატარა მკითხველი.

დიახ, სონა ციციშვილი თითქოს ბუნებისაგან იმიტომ იყო გაჩენილი, რომ ქვეყნად მოეტანა თანხმობა და სათნოება, საერთო ძმობა და სიყვარული! ის დაუღალავათ შრომობდა ამ მაღალის იდეალების მისაღწევად და სუყველგან, სადაც-კი შეეძლო, სადაც-კი ხელი და ხმა მიუწვდებოდა მწერლობაში თუ ხალხში შეჰქონდა სითბო და ძლიერება ამ მაღალის იდეალებისა.

სონა რამდენიმე წელიწადი შრომობდა „ჯეჯილის“ რედაქციაში, რედაქტორის მარჯვენა ხელი იყო და თანამშრომლებისა სული და გული. ის საოცარის სიადვილით არჩევდა ყოველ ნაბლაჯნ ხელთნაწერს და აუარებელ დასაბეჭდათ გამოგზავნილ მასალაში გამჭრიახის თვალით პოულობდა საჭიროს და გამოსადეგს და მხოლოდ ამ არჩეულებთ უკითხავდა იმ კომისიის წევრებს, რომლებიც თვეში ერთხელ, რამდენიმე საათით იკრიფებიან „ჯეჯილის“ რედაქციაში რედაქტორთან ერთად ნომრის შესადგენად. სონა კითხულობდა დიდის გრძნობით და მეტყველებით და არც ერთ აზრს შესანიშნავს და გამოსადეგს ყმაწვილის გულისთვის და გონებისთვის არ გაუშვებდა ხაზს-გაუსმელად და ბევრისაგან ბევრი გამოსადეგი და საჭირო დაიკარგებოდა, რომ სონას თვალს არ გაერჩია და სონას განმარტებით არ აღბეჭდილიყო „ჯეჯილის“ ფურცლებზე.

ამას გარდა, სონა კითხულობდა მრავალ რუსულ საყმაწვილო

ჟურნალს და წიგნს და თუ იპოვნიდა რასმე რიგიანს და გამოსადეგს ქართველის მკითხველისათვის, მაშინვე შეუდგებოდა იმის გადმოთარგმნას, ან გადმოკეთებას. სონა ნამდვილი დედაკაცი იყო სულით, გულით, სათნოებით და გატაცებულის სიყვარულით ბავშვებისადმი. საყმაწვილო ჟურნალში იმან ჰპოვა თავისი მოქმედების ნამდვილი ასპარეზი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელიდან არ გაუგდია წიგნი და კალამი! ნატრობდა სიცოცხლეს, მხოლოდ იმითვის, რომ კიდევ და კიდევ შეეტანა საყმაწვილო ლიტერატურის სალაროში თავისი შრომა და უზომო სიყვარული. „მე კიდევ შემეძლო დიდხანს შრომა და „ჯეჯილის“ სამსახური“ მითხრა სონამ ერთი კვირის წინად სიკვდილისა, „და ბუნებამ-კი ყელში წამიჭირაო!“ იცოდა რომ იმის დღეები დათვლილი იყო, მოძრაობა თითქმის აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც მიკითხამდა ხელთ-ნაწერს, თავისებურის მშვენიერის კითხვით ელფერს ადებდა ჩემს ნაწერს და მაბედვინებდა მის დაბეჭდვას უკანასკნელს „ჯეჯილის“ ნომრისთვის.

სიცოცხლის პირის-წყალნი არიან ამისთანა ადამიანები და რა იქნებოდა თვით სიცოცხლე თუ ამისთანა თავ-დადებულნი მშრომელნი და მოსიყვარულენი არ ჰყოლოდა ქვეყანას? ღმერთმა ჰქმნას, სონას დათესილი სიკეთე ერთი-ორად იქცეს და მრავლად აღგეზრდოდნენ ახალ თაობაში სონას მაგვარი ქვეყნის პირის-წყალნი!

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, ჩვენო სონა, სუყველასთვის საყვარელო ადამიანო! სიყვარულს და სათნოების მთესველო დედაკაცო!

ეკ. გაბაშვილისა.

მეფის რაში.

ზღაპარი.

ალ. ყაზიბეგის ხელ-
ნაწერიდან.

დასასრული *)



ქარგა ხანს იდგა ასე, გონს ვერ მოსულიყო. ყოველისფრს არ-ღაც სამარისებული სახე ედო. ჰაერიც-კი თითქოს აღარ მოძრაობდა. ისმოდა მხოლოთ შეშინებულის ქალების გულის-ცემა, რომელიც თითქოს მკერდიდან ამოვარდნას აპირებდა.

*) ისიდე ჯეჯილი № V.

— ჰა, ჰა, ჰა! დაიხარხარა ერთბაშათ მოხუცმა და ხმაში ხრინწი მოერია, შორს გარდასტყორცნა ცული და უსიამოვნო, დაჟღლილი, გაბრაზებული ხმა შეეცვალა ტკბილს, მოალერსეს და გრძნობით აღსავსე ხმათ.

— შეგაშინეთ!.. მოგიკვდესთ მამა!.. და თქვენც დაიჯერეთ, თქვენ, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდის, რომ მოგკლავედით!..

მოხუცმა, რამდენჯერმე ამოისუნთქა და აქეთ-იქით მიიცქირა, თითქოს ოთახში მყოფი ჰაერი სასუნთქველათ არა ჰყოფნიდა და სხვას კიდევ ეძებდა.

— არა შვილებო!.. არა... ტკბილათ დაიწყო იმან, ჩამოჯდა იქავ მდგომს სკამზე და ცრემლები გადმოედინა.—მოდით შვილებო... მომეხვიენით... მაკოცეთ.. მაპატიეთ... მე გამოგჭერით ყელები, მე დაგლუპეთ, მე ვარ ჩასაქოლი.

— მამავ! მამავ! მიეხვიენ შვილები და დაუწყეს კოცნა და ალერსი.

შვილების ალერსმა კაცი უფრო მოალბო, უფრო დაასუსტა: შეუთამაშა თვალმა, თრთოლა დაუწყო ტუჩებმა და სასულესთან ძარღვებმა ფეთქა ასტეხეს.

— მაკოცე შვილო... მაკოცე შენცა... შენცა... კიდევ, კიდევ! ეუბნებოდა მიხრწნილის ხმით. მაკოცეთ, მაკოცეთ.. მე ვაშლებზე წაგიყვანთ, გუშინ რომ დაგპირდით.

ამ დროს მოისმა ზარის ხმა და კაცი შეკრთა, წამოვარდა და სახე უსიამოვნოთ დაეპრანჭა...

— წავიდეთ, წავიდეთ! ერთბაშათ დაიძახა მან და წყნარათ დაუმატა: წავიდეთ ტყეში, თორემ მოგვასწრობს და გაგვამწარებს.

ქალებმა წამოაელეს შალებს ხელი და ემზადებოდენ, მაგრამ როგორც ყოველთვის არის ხოლმე აჩქარების დროს, აეიწყდებოდათ, რომ შალები ხელში ეჭირათ და კიდევ შალებს ეძებდენ.

კაცს ეტყობოდა, რომ ცოლის მოსწრებისა ეშინოდა და როგორც ციებაში მყოფი ისრე აცახცახებდა.

— ჩქარა, ჩქარა! იძახოდა კაცი, და თან ხელში საბელს იმარჯვებდა.

— მზათა ვართ, მამავ! უთხრეს ქალებმა და ყველამ ტყისაკენ ჩქარის ნაბიჯით გასწიეს.

კარგა ხანს სიარულის შემდეგ შეეიდენ ტყეში, სადაც წმინდა ჰაერმა და სასიამოვნო გრილომ ქალები თან-და-თან აღტაცებაში შეიყვანა. ყმაწვილობის ბუნებამ გაიღვიძა და გული შეუფრიალდათ მოჭიკჭიკე ჩიტებსავით.

მაგიერ მამა მათი დაღვრემილი, ჩაფიქრებული და ფერმიხდილი იყო, დრო გამოშვებით, გაუგებრათ რაღაცას ბუტბუტებდა. სახე მისი წამ და წამ იცვლებოდა: ხან ჭარხალსავით წამოწითლდებოდა, ნაბიჯს მოუმატებდა და მოუსვენრათ ქშინავდა; ხანაც ფერმიხდილი სულ-შეხუთული მომაკვდავს მიემზგავსებოდა. რამდენათაც ისინი ტყეში შედიოდენ, იმდენათ მოხუცს მღელვარება და აღშფოთება ემატებოდა.

კარგა ხანმა გამოიარა ამ სიარულში, ბოლოს კაცი ერთბაშათ შესდგა, სწვდა ერთის ხელით გულსა და მეორე ხელი ისე გაიშვირა, თითქოს ქალების განსაცდელისაგან გაფრთხილება უნდოდა.

ყმაწვილი ქალები შესდგენ და მამას ყურება დაუწყეს, რომელიც ისე ცახცახებდა, როგორც ციება მოკიდებული და სახე საოცრათ დაჰპრანჭოდა.

— მამავ, რა არის? რა მოგვიდა? მისცვივდენ ქალები, რომელთაც დაინახეს, რომ მოხუცმა წაიბარბაცა.

— არაფერი, არაფერი! ხელის გაქნევით და თავ-შემაგრებით წამოიძახა კაცმა და ერთ ადგილს გაშტერდა. ქალებიც იმ ადგილზე გაქვავებულივით შეჰყურებდენ.

მოხუცი იდგა და გაუგებელს სიტყვებს იძახოდა: გათავდა... მოვედით... გაწყდა!.. წამოიძახა მან და მწარე დაყვირებასთან ერთათ ხმა შეუწყდა.

ქალები შეკრთდენ წუთით და გაწამდენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ კაცმა ამოიხვნეშა ისე, თითქოს გული თან ამოატანაო და საჯოჯოხეთოს ხმით ხარხარი დაიწყო.

— დასაკლავს ხარს, რაღა ყურება უნდა? დაიძახა იმან და თავათვე დაუმატა: რასაკვირველია, რომ არა... შვილებო, შვილებო! ერთბაშათ წამოიძახა და ქალებს უკანასკნელი ძალა დაეკარგათ. მათ წვივილი შექნეს და კაქცევა განიზრახეს, მაგრამ მამა წინ გარდაუდგა და უფრო დამშვიდებით უთხრა:

— სად გარბით? რისთვის?.. მაშ ვაშლები აღარ გინდათ?

ქალები შესდგენ და შეშინებულის, ურწმუნო თვალით ცქერა დაიწყეს. მოხუცი მივიდა ბუჩქებთან, გადასწია ფოთლებს და უთხრა:

— აბა შეხედეთ.

ქალებმა შეხედეს და სიხარულით შეჰკივლეს:

— ვაშლები, ვაშლები!

მათ დაინახეს პატარა მინდორი, რომლის იქითაც ერთი ხე განცალკევებით იდგა და ქვეშ ფარდაგზე მთელი ხროვა ვაშლებისა მზის შუქზე ბზინავდა.

პირველმა მოულოდნელობამ შეაკრთო ქალები, მაგრამ წუთს შემდეგ გახარებულის ყიჟინით გაქანდენ მიმზიდავათ და მიმპატიჟეთ მომლვიეს ვაშლებისკენ. მათ გაქცევაზე კაცმა თავზე ხელი შემოიკრა, სახე დაეპრანჭა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

— შესდექით, მოიცადეთ... ორმოა! მაგრამ გაფთხილება გვიანღა იყო. ქალები შეცვივდენ ფარდაგზე, წკეპლებმა ვერ გაუძლეს მათ სიმძიმეს და ვაშლებთან ერთათ ორმოში ჩაცვივდენ!..

მოხუცი გაქანდა მათკენ, მიიჭრა ღრმა ორმოს ნაპირზე და ჩახედა ორმოს, რომელშიაც მხოლოდ ბნელი უფსკრული-ღა მოჩანდა.

— შვილებო, შვილებო! გულის გამგმირავათ დაიძახა მოხუცმა და პასუხათ მოესმა მხოლოდ ნიავსავით წყნარი ხმა „მამაე, მამაე!“

და მასთან ერთათ ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი დაეცა მიწაზე, დაიწყო დაჭრილს ლომსავით მიწის ბრდღვნა და ღრიალი, იცემდა თავში, პირში, ტიროდა მდუღარეთ და ტანისამოსი მთლათ შემოიგლიჯა. დიდხანს ივაგლახა, დიდხანს აწყდებოდა აქეთ-იქით, დიდხანს სცემდა თავს ქვაზე, მას აღარავინ უშველა, შვილები აღარავინ დაუბრუნა. ერთბაშათ მოხუცი წამოჯდა, გაჩუმდა და ერთს ადგილს მიაჩერა თვალები. მისი სახე დამახინჯებული და დაპრანჭულიყო გულის შემწველის ცეცხლისაგან. ეტყობოდა, რომ მისთვის გონებას ელალატებინა, გაებრუებინა და ჭკუიდან შაეშალა.

— რა უნდა მექნა? წყნარათ წარმოსთქვა იმან და დაფიქრდა.— ვაშლი, ვაშლი... წყნარად გაიმეორა. ეს საბელი რაღათ მინდა?.. დახედა თოკს, რომელიც ხელში ეჭირა და ერთბაშათ დაკიდებასთან ერთათ ზე წამოიჭრა.

— ვიცი, ვიცი! დაიღრიალა იმან გულის გამგმირის ხმით, გაექანა ვაშლის ხესთან, საჩქაროთ ავიდა ერთს ტოტზე, მოაბა საბელი და ბოლოში ქამანდათ გაკეთებულს თოკში თავი გაჰყო.

— არ მინდა, არა!.. მეშინიან! გაცახცახდა უბედური, შეჰკიელა და რამდენსამე წუთს შემდეგ თოკზე ჩამოკიდებულმა სული დალია.

ამგვარათ დაიხრჩო უბედურმა თავი და შვილებიც ისეთს ჯურღმულში ჩაჰყარა, საიდანაც ქვეყანათ ხმა ძე ხორციელს ვერ ამოსწვდებოდა. წვალებულს ქალებს თუნდა ხმა ორმოს პირისთვისაც მოეწვდინათ, მაინც ვერავინ გაიგონებდა, რადგანაც ეს ადგილი უდაბური და დაბურული ტყე იყო და კაცის ფეხი არა ხვდებოდა.

კარგა ხანმა გაიარა. ჩამოხრჩობილი შეჭამეს ყვავ-ყორანმა და ჭია-ღუამ; საბელი ავდრისაგან დალპა და ჩამოწყდა, კაცის ძვლები მგლებმა და ტურებმა ტყეში გაფანტეს და სოფელშიაც ბევრის ძებნის შემდეგ ყველა დაივიწყეს.

საცოდავი ქალები ისხდენ თავიანთ ჯურღმულში, რომელიც

ქვეშ დიდს დარბაზათ იყო გაკეთებული. შეეძლოთ ეარათ, ფეხზე მდგარიყვენ, დაწოლილიყვენ, მაგრამ მზის შუქი არა სწვდებოდა და მუდამ ძალზე ბნელოდა...

მათდა საბედნიეროდ, ღვთის განგებით ვაშლი შეიქნა ისეთი ნოყიერი, რომ დღეში თითო ვაშლი სამსავე დას ჰყოფნიდა და ასაზრდოებდა.

* * *

კაცის სიალალ-მართლე დიდია და არ იკარგება; მათაც მოხვედა განგებამ.

ერთი ფრიად შეძლებული მეფე იყო, რომელსაც ერთი რაში ჰყვანდა და შვილსავით უყვარდა. რაშს ეს ხელმწიფე რამდენჯერმე სიკვდილისგან გადაერჩინა და ამისთვის ისე უყვარდა და უფრთხილდებოდა პატრონი, როგორც თავის თავს.

რაში იყო ჭკვიანი, მოაზრებული და თითქოს ადამიანის ლაპარაკი და გულის პასუხი ესმოდა. ამასთანავე ისეთი ჩქარი და ისეთი ფეხ-მალი იყო, რომ ხალხი ნიავ-ქარს ეძახდა. ყოველ დილით, რა წამსაც-კი მეფე გაიღვიძებდა, მაშინვე რაშს მოიკითხავდა. მოუყვანდნენ ჭკვიანს ცხენსა; მეფე ორიე თვალებში აკოცებდა, აჭმევდა ნუშსა და ქიშმიშსა და შემდეგ სხვა საქმეებს მიჰყოფდა ხელსა.

მეფე ყმაწვილი იყო, ახლათ აშლოდა წვერ-ულვაში და ნადირობა უყვარდა.

ერთ დღეს მას ეწვია დიდძალი საპატიო ხალხი, რომელთაც უნდოდათ ქვეყნის მფლობელი დაეთანხმებინათ რომ ცოლი შეერთო.

მეფემ მიიღო ისინი ჯეროვანის პატივით, გაუმართა მეჯლისი, მაგრამ ცოლის შერთვაზე-კი უარი უთხრა.

შესწუხდენ ყველანი, რადგანაც სამეფოს მემკვიდრე არა რჩებოდა და მის გარდაცვალების შემდეგ უეჭველათ არეულობა მოხდებოდა. ამისთვის ხელმწიფეს კიდევ მიუგზანეს კაცები და ევედრებო-

დენ, რომ ხალხი ასე უნუგეშოთ არ დაეყარა. მათმა მფლობელმა უპასუხა:

— ხვალ სანადიროთ მიედიეარ და მაგ საქმისთვის არა მცალიანო. ხოლო როცა დაებრუნდები, მაშინ მოვიფიქრებ და გარდაწყვეტილს პასუხს მოგცემთო.

როგორც ბრძანა, ისეც აღასრულა: მეორე დღეს გაიმართა დიდი ნადირობა. იმ დღეს იმოდენა მშველი, ირემი და ჯეირანი დახოცეს, რომ მნახველნი იძახდენ „მთელს დედამიწაზე მცხოვრებს ხალხს საკვებათ ერთ წელიწადს ეყოფოდაო“.

საღამოზე დაანთეს ცეცხლები, შემოიკრიბენ მონადირეები და მთელი ღამე ლხინსა და ქეიფში გაატარეს.

როდესაც გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ სხივით მოჰფინა იქაური არე მარე, მეფემ ჩვეულებისამებრ, თავისი რაში მოიკითხა. წავიდა ერთი მხლებელთაგანი ბრძანების აღსასრულებლათ, მაგრამ კარგა დრომ გაიარა და რაშისთვის წასული აღარ დაბრუნდა. მეფემ გაგზავნა მეორე კაცი, მაგრამ აღარც ის დაბრუნდა; მეფე აღშფოთდა და კიდევ რამდენიმე კაცი გაგზავნა, მაგრამ ამაოთ; ვინც მიდიოდა აღარ ბრუნდებოდა!

ამ დროს მეფემ დაინახა, რომ იქ მყოფ მონადირეთა შორის რაღაცა არეულობა და ჩოჩქოლი იყო, ეტყობოდა, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. გულმა ველარ გაუძლო და ჩქარის სიარულით ხალხში მიიჭრა.

— რა ამბავია?! განრისხებულმა მეფემ იკითხა. ხალხი გაჩუმდა და ხმა ველარავინ ამოიღო.

— რა ამბავია-მეთქი?! განიმეორა მეფემ, მაგრამ ისევ სიჩუმე დახვდა.

— არ მეტყვით?! განრისხებით დაუყვირა მან იქ მდგომებს და ხმალს ხელი გაიღლო.

— მოგახსენებთ, დიდებულო ხელმწიფეე! წარმოსთქვა ერთმა ფრიად მოხუცმა და საპატიო კაცმა. მივიდა მეფის წინ და დაჩოქილმა თავი ჩაჰკიდა.

— მითხარ, რა მოხდა?

— მოგვიტევე, დიდო მეფეო,—დაიწყო მოხუცმა, წყნარათ—თუ აქამდისინ ვერა ებედაედით თქვენთან გხლებოდით, ამის მიზეზი იყო, რომ გვეშინოდა, თქვენის შეწუხებისა და განრისხებისა!..

— ახ, ღმერთო! მოუთმენელათ წამოიძახა ხელმწიფემ.—საქმე მითხარ!

— დიახ, მოგახსენებ, ჩემო მწყალობელო და მრავალჯერ დამხსნელო გაჭირვებიდან.

— თავი მომაბეზრა!—ჩაიქნია მეფემ ხელი,—დაანებე მაგ მადლობას თავი... გამაგებინე-მეთქი რა მოხდა?

— იმას არ მოგახსენებთ... დაიწყო ისევ გამოყეყეჩებულმა და განაგრძო:—თქვენს გაჯავრებას ვერიდებოდი-მეთქი...

— ღმერთო დამიხსენ! შეჰკივლა მოთმინება დაკარგულმა მბრძანებელმა და მთლათ აინთო:—მე რას გარდამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

— ისა, შენი ჭირიმე, რომა...

— არ მეტყვი? მისწვდა საყელოში მეფე, რომელსაც სიბრაზემ მოაზრებაც-კი დააკარგვინა.

— ვიტყვი, ვიტყვი! ზეზე წამოვარდა მოხუცი.

— სთქვი და რაღა!

— გაცოფდა! ერთბაშათ წამოიძახა მოხუცმა.

— რა, რაო? იკითხა ხელმწიფემ.

— გაცოფდა, გაცოფდა, შენი რისხვა არა მაქვს! იძახდა შეშინებული ბებერი.

— რას ამბობს? ვინ გაცოფდა? სად გაცოფდა...

— თქვენი რაში, დიდებულო მეფეო! თქვენი რაში!..

— რას ამბობს, თქვენი ჭირიმე!?...

— თქვენი რისხვა არა მაქვს გაცოფდა!

— როგორ თუ გაცოფდა? გაოცებით იკითხა შეწუხებულმა მეფემ.

— დარბის, ჭიხვინებს, ტოტებს მიწასა სცემს, ტლინკებს იქნევს.—ზედი-ზედ მიაყარა შიშისაგან დაბნეულმა მოხუცმა.

— მე როგორცა გხედავ, შენა ხარ გაცოფებული და გამოჩერჩეტებული! უთხრა მეფემ და სხვებს მიუბრუნდა.—ერთი სწორე გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამსთ! მართლა გაცოფდა?

— კი არ გაცოფდა... წამოიძახა ისევ იმ პირველმა მოსაუბრემ.

— შენ არ გელაპარაკები! გააწყვეტინა მეფემ, მაგრამ ენა-მასწარი მოხუცი მაინც არ ჩუმდებოდა:

— არ გაცოფებულა, შენი ჭირიმე და რა ექნა!

— მარა მოუვიდა?

— გაგიქდა.

— ეს უკეთესი! დაიძახა მეფემ და მთლათ აენთო.

— კი არ გაგიქდა, შენი ჭირიმე, წამოდგა მეორე — წუხელი მთელი ღამე ჭიხვინებდა.

— გაგიქდით თუ რა მოგსელიათ?!.. მერე რა მოხდა?

— დღეს დილით... დაიწყო იმავე მეორემ...

— მომშორდი, თუ ღმერთი გწამს! გააწყვეტინა იმასაც და მიუბრუნდა მესამეს:— თუ ღმერთი გწამს შენ მაინც მიამბე, რა მოხდა?

— რა მოხდა და შენი ჭირიმე...

— ახა, ღმერთო! ჩემს ჭირს რას გადაეკიდეთ?.. რა გინდათ ჩემის ჭირისაგან? თითქმის ხვეწნითა ჰკითხა შეწუხებულმა მეფემ.

— მე მოგახსენებთ, ბატონო! ხალხიდან გამოვიდა ერთი მოწიფული ბიჭი.

— არიქა შენს მზეს, გამაგებინე, თორემ დამტანჯეს, ამ ულმერთოებმა.

— აი ტყეში ერთი ვაშლი დგას და იმის ძირში ერთი ღრმა ორმო გახლავესთ...

— მერე?.. ჩემი რაში შიგ ჩავარდა? ჰკითხა მეფემ და მთლათ გაუითრდა.

— არა, ბატონო!

— მადლობა ღმერთს! თავისუფლათ ამოისუნთქა მბრძანებელმა.—მერე?

— მერე და შენი ჭირიმე!..

— ახ, ღმერთო! ჭირს თავი დაანებე თუ ღმერთი გწამს.

— თქვენი რაში იმ ორმოს პირზედა დგას, დახვიხვინებს და არავის ეჭერინება.

— მაშ ეგ არის მხოლოთ?

— ეგ არის, შენი ჭირ... გასწყვიტა ერთბაშათ მოსაუბრემ, გადააფურთხა:—ფუი, აი დამლახერა, ჩემმა ეშმაკმა, კიდეე, კიდეე არ წამომცდა უბედურს.—და ენაც ჩაუარდა.

— კარგი, კარგი? ეხლა ყველაფერი მესმის. ბრძანა მეფემ და დაუმატა:—გამიძეღ, სად არის ის ორმო?

— სად მიბძანდებით? წაიბუტბუტა იმ მოხუცმა, რომელმაც პირველში თავი მოაძულა.

მბრძანებელი შესდგა და ეეღარა მოახერხა-რა, მხრები აიწია.

— მომაშორეთ თავიდან, ეგ ტვინ-გამოცლილი, თუ ღმერთი გწამსთ! წარმოსთქვა მან და გზას გაუდგა. მას მიჰყვა იქ მყოფი ხალხი და იქ დარჩა მხოლოთ ის მოუსვენარი მოხუცი, რომელიც მეფეს უკანასკნელათ დაელაპარაკა. ის იდგა თავისათვის და დუდუნებდა:

— მიბძანდი, რა?.. მე რა მენაღელება?!.. ისეთი დაბურული ტყეა, ისეთი ღორღიანი, ისეთი ოღრო-ჩოღრო ხვევები, რომ სადმე გადაიჩეხები... თორემ მე რა?.. მე აგერ ნუნუას მიეუჯდები.

მივიდა დოქთან, მოეწაფა და სანამ გონება მიხდილი იქაე არ გაგორდა არ მოეხსნა.

წუთს შემდეგ მოხუცი ისე ხერინაედა, თითქოს მთელს წელიწადს არა სძინებიაო.

* *
*

როცა იქნა, მეფემ თავის ამალით, იმ მინდორს მიაღწია, სადაც ეაშლი იდგა და საოცნებო ორმოს რაში დასჭიხვინებდა.

ხელმწიფემ დაშტვინა, რაშმა მოიხედა და თავის პატრონი რომ დაინახა, წამოვიდა მისკენ ხვიხვინით და ხტუნაობითა.

მეფემ უალერსა, წაუსვა შუბლზე ხელი, აკოცა ორივე თვალებში და უბძანა კაცებს ნუში და ქიშმიში მოეტანათ.

ამ ბრძანების გაგონებაზე ცხენი აიფხორა, დააცქვიტა ყურები და ტოტების მიწაზე ცემით ფრუტუნი დაიწყო.

მეფეს გაუკვირდა ცხენის საქციელი და წამოიძახა:

— უეჭველია ორმოში რაღაცა უნდა იყოს! ამ სიტყვებით ისევ ალერსი დაუწყო რაშსა და უთხრა: — იქ, ორმოსკენ წავიდეთ?

ცხენმა სიამოვნებით დაიხვიხვინა და თითქოს მიხვდა პატრონის კითხვას გაბრუნდა ორმოსაკენ, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა, მოიხედა უკან და რა დაინახა, რომ მას მიზდევენ, გასწორდა, გაიჭიმა და თავის ქნევით, წყნარათ გასწია დანიშნულს ადგილისკენ.

ყველანი გაშტერებით უყურებდენ ცხენსა და უკან მიზდევდენ. რაში მიუახლოვდა ორმოს, დაიცქვიტა ყურები და ისე გაჩერდა, თითქოს მთლათ სმენათ გარდაიქცაო. როდესაც მიუახლოვდა მეფე და მისი მხლებლები, რაშმა ფეხით ცემა დაუწყო ორმოს ნაპირს.

— ეჭვი არ არის, რომ ამ ორმოში რაღაც უნდა იყოს!

ხელმწიფემ განკარგულება მოახდინა, რომ რამდენიმე კაცი ჩასულიყო და გაეშინჯათ ორმო.

მოიტანეს თოკები, აანთეს ჩირაღდნები და რამდენიმე კაცი შიგ ჩაუშვეს.

ორმო მეტათ ღრმა იყო და კაცების ჩაშვებას კარგა ხანს მოუნდენ. ჩასვლის უმალ, მათ დაანძრიეს თოკები, ზემოდან ამოსწიეს. რამდენიმე წუთს შემდეგ ორმოს პირიდან ამოჩნდა ჯერ ერთი ქალი, ყმაწვილი და წარმოუდგენელის სილამაზისა; მას შემდეგ ამოჰყვა მეორე, პირველზე კიდევ უფრო ლამაზი და მას შემდეგ ორმოს თი-

თქოს შუქი შემოადგა... გამოიარა წუთმაც და გამოჩნდა პირველებზე უფრო ყმაწვილი ქალი, მათზე ლამაზი, კეკლუცი და სხივ-მფენელის მომხიბლავის სახისა.

გაოცებული ხალხი შესცქეროდა მათ და ადიდებდა ღვთის სა-



ხელს, რომელმაც ქვეყნის დასამშვენებლათ ისეთი მშვენიერებანი გააჩინა. თვით მეფეც გაოცებული იდგა, შესცქეროდა მათ და ხმა ეღარ ამოეღო.

— კეკლუცნო ქვეყნისანო!—ძლიეს მოახერხა მეფემ, როდესაც ოცნებიდან გამოვიდა.—დიდება თქვენს სახელს!.. მითხარით ვინა ხართ, ან საიდან ჩაცვივდით მაგ ორმოში?

ქალებმა უამბეს თავიანთი თავ-გადასავალი, შეატყობინეს, რომ აქამდის იმ ეაშლებითა სცხოვრობდენ, რომელიც თან ჩაჰყვათ და ლოცავდენ იმ გულ-კეთილს კაცს, რომელიც ღმერთმა აგულისხმიერა და მათ დასახსნელათ ამ ადგილს მოიყვანა.

— მე ნუ მეუბნებით მადლობას, უთხრა მეფემ და დაუმატა:— თქვენის პოვნით ღმერთმა მეც დამასაჩუქრა და გამახარა; მე თითონაც ვალდებული ვარ, რომ თქვენის გადარჩენისთვის მადლობა ეუთხრა... ამ სიტყვებით მეფემ ტაში დაჰკრა, ხალხის ჯგუფი გაიპო და მათ წინ მოვიდა რაში, რომელსაც სიხარულით თვალები გაბრწყინებოდა.

— აი, ამან გადაგარჩინათ, ამ რაშმა, ჩემმა ერთგულმა და დაუფასებელმა... მადლობის ნიშნათ მე მის წინ ვიხრი მუხლსა და ქედსა...

მეფემ დაიჩოქა ცალ-მუხლზე, ხოლო ცხენი მივიდა, შუბლით და ტუჩებით წყნარათ შეეხო მეფეს და თან ფრთხილათ და ნაზათ შესთამაშ-შეხაროდა. ამას შემდეგ მეფე წამოდგა და ისევ ქალებს მიუბრუნდა:

— მე თუ მუხლი მოვიდრიკე ჩემის რაშის წინაშე, თქვენც ვალდებული ხართ კეკლუცნო, თვალებში კოცნით გარდაუხადოთ ამ პირუტყვს, რომელსაც ბევრს კაცზე მომეტებული თავ-განწირულება, ერთგულება, სიყვარული და პატიოსნება აქვს... დაგიხსნათ განსაცდელისაგან და მუშაკი ღირსია სასყიდლისა.

ამ სიტყვებზე სამივე ქალი მისცვივდენ რაშსა და ლოშნა დაუწყეს. პატიოსანი პირუტყვი იდგა მათ შორის წყნარათ, მშვიდო-

ბიანათ და უფრთხილდებოდა მოულოდნელის მოძრაობით ნაზ ქმნილებათათვის არა ევნო-რა.

მეფე შეჰყურებდა დიდებით და მშვენიერებით აუწერელს სურათს, თვალები სიხარულის და გრძნობის ცეცხლით გაბრწყინებოდა და სრულიად სტკბებოდა დღეევანდელის შემთხვევით. ამ წუთებში მოაგონდა თავის გამოყრუებული მოხუცი, რომელმაც ძველ ბინაში მითრობა და მიგდება არჩია, ვიდრე ტყეში ხეტიალობა. მოაგონდა და გადიხარხარა.

— აბა, ბატონებო! ვინ უფრო გიჟი და რეტიანია: ჩემი რაში, თუ ჩვენი გამოყეყეჩებული მსაჯული?

ხალხმა სიცილით მისცა პასუხი და დიდხანს ხმაურობა ეელარ შესწყვიტეს. ბოლოს მეფე მიუბრუნდა ქალებს და უთხრა:

— ღვთის განგებით და უზენაესის შთაგონებით დღეს თქვენთან შეხვედრა შემემთხვა. მობრძანდით ჩემს სასახლეში და ჩვენ, ჩვენს თავს ვალადა ვხდით ვიზრუნოთ თქვენს მომავალზე.

ქალებმა მდაბლათ თავი დაუკრეს. მსახურთ მოამზადეს ტრახტევანები და ყველამ გასწია სასახლისაკენ.

* * *

ერთ დღეს, როდესაც რაოდენმა ხანმა გაიარა, ხალხი შეიყარა და მეფეს შუაკაცები მიუგზავნა. ხალხი სთხოვდა ეზრუნეა მემკვიდრეზე და ცოლის შერთვის თაობაზე, დაპირებისამებრ პასუხი ებრძანებინა. მასთანვე ერთათ შუაკაცებს ისიც მიანდვეს, რომ სიტყვა გაეტარებინათ ორმოში ნაპოვნს ქალების შესახებ, რომელნიც მათის აზრით, ღვთის განგებამ შეჰყარა მირონცხებულს და უნდა ეთხოვნა კარზე მიმდგარი ბედი, თვით ზეციერის მამისაგან დედოფლათ დანიშნული არ უკუეგდო.

როდესაც შუაკაცები მივიდენ, თავის ბატონს სალამი მისცეს და თაყვანი სცეს, გამოუცხადეს ხალხის ქვეშევრდომობის ერთგუ-

ლება, გაუბედეს მოეგონებინათ, რომ მეფის დაპირების თანხმად ხალხი პასუხს ელოდა.

მეფეს ეამა ამ საგანზე ლაპარაკის დაწყობა, რადგანაც ახლათ ნაპოვნის ქალების ხილვის შემდეგ, მასაც ძილი დაჰკარგოდა და მათში ერთ-ერთთან შეერთების ფიქრით ხშირათ ოცნებობდა. მეფე თაეათეე აპირებდა ამ საგანზე ხალხის შეკრას და მოლაპარაკებას, მაგრამ, რადგანაც ნაპოვნი ქალები კეთილშობილთ შთამომაელობისანი არ იყვენ, ამისთეის ხალხის უკმაყოფილებისა ეშინოდა და ხელის-შემწყობს შემთხვეევას მოელოდა.

— თუმცა ჯერ ყმაწვილი ეარ—ბრძანა მეფემ—და ცოლ-შეილიანობა ჩემთეის ცოტა ადრეა, მაგრამ, როგორც მეფე ჩემს თაეს აღარ ვეკუთვნი... აღსრულდეს ხალხის ნება და სურვილი!

— სცოცხლებდეს მეფე, სცოცხლებდეს მრავალ ჟამიერ! ერთ ხმათ შესძახა ხალხმა.

— გყავთ ვინმე ამორჩეული? იკითხა მეფემ და გულმა კანკალი დაუწყო: მას ეშინოდა ხალხს ისეთი ვინმე არ დაესახელებინა, რომლისკენაც მისი გული არ მიიბრძოდა.

— დიდებულო მეფეე!—მოახსენა ერთმა შუაკაცთაგანმა—თქვენ ხართ არჩეული თვით ზეცისაგან... თქვენს აზრს და გონებას ხელმძღვანელობს მეუფე, თქვენი ფიქრები და აზრი ითვლება თვით ზეცის შთაგონებათ. თვალნი თქვენნი უკეთ განხილავდენ, ყველა თქვენს ქვეშეერდომებზე, უკეთესათ გამოარჩევდენ ღირსეულს დედოფალს, ღირსეულს მშობელს მემკვიდრისას და ღირსეულს თქვენს დიდებულებასთან შეკავშირებისა!.. მაგრამ ჰო დიდებულო!.. ყვენთა ყვენო, შახთა შახო და მეფეთა მეფეო!.. ნუ გულისა წყროსა მითა მისცემ სმენასა ვედრებასა შენისა ფეხისა მტვერთასა!.. ისმინე ვედრება და მუდარა მათი... ხმა შენის ერისა არის, რომ თვით ზეცამ დაგინიშნა სადედოფლოდ ასარჩევი! სამი ობოლი მარგალიტი შენს ხელთ არიან, მათს სადარს ეარდს ფეროვნებით ვერ იხილავ ედემის წალკოტშიაც-კი... მათს გონებრივ სჯას თვით სოლომონ მსაჯუ-

ლი ყურს მიაპყრობდა, მათს ხმას ბულბული დაენატრება და მათის კამკამით შემკრთალი მთვარე ღრუბელს მოეფარება!.. ნუ უგულის-ხმოდ ჰყოფ, მეფეო მირონ-ცხებულო! აჯასა შენთა მონათა, შენ-თვის თავ-განწირულთა.

ამ სიტყვებით გაათავა შუაკაცმა, დაიკრიფა გულ-ხელი და და-ჩოქილმა შეწყალების მთხოვნელსავით თავი ჩაჰკიდა.

— კურთხეულიმც იქნება ერი და ხალხი—წარმოსთქვა გახარე-ბულმა მეფემ, რომელსაც სხვა არაფერი უნდოდა, როგორც ამ ერთ ერთის მზეთ-უნახავის შეუღლება.

— ხმა ღვთისა, ხმა ერისა! თანახმა ვარ ყურადღება მივაპყრო მათს წადილს და მათს სურვილს უმსხვერპლო, შევსწირო წადილი ჩემი, ვითარცა ცოდვილის კაცისა... ხალხისაგან გამორჩეულის ქა-ლის დედოფლობა იქმნეს ბედნიერ.

— ვაშა, ვაშა მეფეს! სცოცხლებდეს დედოფალი, სცოცხლებ-დეს მეფე! გრიალებდა ხალხი ჯერ სასახლეში და შემდეგ ქუჩებშიაც.

რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში

(გაგრძელება *)

V

ალარბაზობის მეორე დღეს დილით კახთ ბატონმა აახლა რუსის დესპანებს ორი აზნაური და მიიწვია წირვაზედ ალაევერდის ტაძარში და წირვის შემდეგ სადილად მოსულიყვნენ. ეს აზნაურები რომ წავიდნენ, მერე რევაზ-ბეი სალთხუცესი მოვიდა და ხელ-ახლა მიიპატიჟა დესპანები... ასე ესმოდათ მაშინ ზრდილობა.

გულსაკლავი სანახავი იყო ალაევერდის წმ. გიორგის ტაძარი, სპარსელებისაგან აოხრებული და გაძარცული. გალავანი ოთხის კოშკით დანგრეული იყო და გუმბათი ჯვარ-მოგლეჯილი. ეკლესიას არა ჰქონდა არც კანკელი, არც მაცხოვრის და მღვთის-მშობლის ხატები, არც შანდლები, არც საცეცხლური, თვით წმ. გიორგის ხატი, სირიიდან მოტანილი, დაღუპულიყო. შაჰაბასმა თავის ხელით მოჰკლიჯა შეჭედილობა და თავის მხლებლებს დაურიგა, ხატი-კი დააწვევინა. კედლის მხატვრობა, ზოგი გერმანელ და ზოგი რუსის ოსტატების ნაკეთი, სპარსელებს ბევრგან წაეშალათ და ტყვიით დაეჩიჩქნათ.

ასე გაეძარცვა და შეებღალა შაჰაბასს ალაევერდის ტაძარი, და

*) იხილე „ჯეჯილი“ № V.

სხვა მრავალი კახეთის ეკლესიებიც, და ნადავლი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი წაელო ისპაანს თავის ცოლების საჩუქრად.

ძარცვას გადარჩენოდა მხოლოდ ჯვარი, სახარება, ბარძიმ-ფეშხუმი და რამდენიმე მცირე ხატი ოქროთი და ვერცხლით შეჭედილი. ამით დაუხვდა ჩვენი სამღვდელოება რუსებს, მდიდრულ საეკლესიო მოკაზმულობას დაჩვეულებს, და მათთან რომ არ შერცხვენილიყო, კანკელის მაგიერ ჩამოაფარა უბრალო ბახტა და აღსავლის კარის ალაგას—ძველი ფარჩის ნაჭერი.

მწირველი თითონ ალაევერდელი ბრძანდებოდა. წირვას დაესწრო თეიმურაზ მეფე, ბატონიშვილითა და დიდებულებით. ბევრი რამ მიიჩნიეს რუსის დესპანებმა ქართულს წირვაში უწესოებად, მაგრამ ყველაზედ მეტად ის ეუცხოვათ, რომ ხალხი, დიდებულნი და მეფეც ეკლესიაში ქუდ-მოუხდელი იდგნენ. მეფემ მხოლოდ „ღირს არსის“ დროს და სახარებისა და ბარძიმის გამოსვენებისას მოიხადა ქუდი.

წირვის შემდეგ მეფე წავიდა დარბაზისკენ და დესპანებიც სადილად მიიწვიეს. სადილი იმავე დარბაზში გაემართათ, საცა გუშინ დესპანები მიიღეს... და არც გახლდა სხვა სამაგისო დარბაზი.

თეიმურაზ მეფე თავის შვილით გუშინდელსავით იმავე ადგილს იჯდა. ბატონიშვილის ქვეით დასხდნენ: მოურავი ნოდარ ჩოლაყაშვილი, ბოქაულთ უხუცესი რამაზან-ბეი და სხვა დიდებული და აზნაურშვილი, რიცხვით ასზედ მეტი. დარბაისლები მსახურებს თითოთითოდ მკლავით შემოჰყვანდათ და თავიანთ ადგილს ჰსვამდნენ. მეფის მარცხნივ გაეწყვნენ ალაევერდელი და სხვა მღვდელ-მთავარნი და მათ ქვეით რუსის დესპანები. ასე ჩამწკრივებულნი ისხდნენ და ორი საათი სადილს ელოდნენ.

მეფისა და ბატონიშვილის წინ ეშალა მწვანე სუფრა—სპარსული ქამხა, ოქრო-ქსოვილის არშიით. დესპანებისათვისაც ორი სპარსული სუფრა გაეშალათ, მათის ამალისთვის-კი უბრალო ჭრელი სუფრა.

სადილის წინ თითონ კახთ ბატონმა მიართვა დესპანებს ღვინო.

შუა სადილობას-კი ადგა და რუსთ ხელმწიფის სადღეგრძელო დალია. მეფემ მოილხინა, ბძანა დესპანებისათვის დიდი ჯამით ღვინო მიერთმიათ და რეევაზ-ბეი სალთხუცესის პირით შეუთვალა: „დალიეთ, გამხიარულდითო! ახლა მე და ჩემი შვილი და მთელი ჩემი სამფლობელო დიდს ხელმწიფეს ვემორჩილებით და ძალიან დავიმძიმებ, თუ მოწყენით იქნებითო“.

მეფის წინ ორი დიდი საღვინე ღვინით სავსე იდგა იატაკზედ. სუფრაზედ იხმარებოდა ერთი ბადია თელებით მოჭედილი, ორი შუათანა ჯამი, ხუთი ფიალა და ორი ჭიქა.—ეს ჭურჭელი სულ ვერცხლისა იყო. ამას გარდა ოციოდე შუშის ბოთლი და ჯამი ტრიალებდა სუფრაზედ.

სადილად მოჰქონდათ სხვა-და-სხვაფერი ფლავი: ვარიით, ცხვრით, ხორცით. მერე მწვადი ხის შამფურზედ აგებული... დიაღამც, მეფის სადილის მოწყობილობა აკლებულს სახლს მოგაგონებდა, სადაც სუფრის სიხმელესთან მდიდრულ ჭურჭელის ნაშთი თვალში გეჩოთირება და ძვირფასს ნივთთან საჭირო სუფრის იარაღს ვერ იპოვნი.

სამღვდელოებას ცალკე სამარხო საჭმელი მიართვეს: ფლავი და ერბო-კვერცხი. ჩვენმა მღვდელ-მთავრობამ მიირთვა ერბო-კვერცხი, რუსის მღვდლები-კი არ მიეკარნენ, და ამით ამცნეს ქართველებს, რომ მარხვის შენახვა და ჭეშმარიტი სჯულის დაცვა ჩვენ, რუსებმა, ვიცითო.

ბოლოს, მოიტანეს ხილი,—საზანთრო, მსხალი და ვაშლი,—და სადილი დასრულდა მწუხრისას.

ამ დარბაზობასა, წირვა-ლოცვასა, სადილობასა და მისვლა-მოსვლაში გავიდა თითქმის სამი კვირა და დესპანობის საგანზედ ჯერ სიტყვა არ ჩამოეგდოთ. უეჭველია, მაშინდელი დიპლომატიაც იმ აზრისა იყო, რომ „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო“.

VI

18 ენკენისთვეს 1638 წ. თეიმურაზ მეფემ კვლავ მოიწვია დესპანები წირვაზედ და შეუთვალა რუსის არქიმანდრიტს იოსებს, მისის სამღვდელოებით, ეწირნა ალავერდის ტაძარში.

იოსებ არქიმანდრიტმა გაგზავნა მაშინვე ორი რუსის ბერი ეკლესიის და მის ჭურჭელის დასათვალიერებლად და როცა დარწმუნდა რომ წირვის გადახდა შეიძლებოდა, მოვიდა მეორე დღეს თავის კრებულით ალავერდის ტაძარში, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ და ელოდნენ მეფე, დედოფალი, ბატონიშვილი, ალავერდელი, სამღვდელოება, დიდებულნი და ხალხი. მეფემ არ იკმარა იოსებ არქიმანდრიტის ასეთი უზრდელობა, თითონაც თავი დაიმდაბლა და სთხოვა წირვის დროს ჯერ რუსთ ხელმწიფე ეხსენებინა და მერე კახთ ბატონი.

რუსებმა კახთ ბატონს სურვილი შეუსრულეს და გადააჭარბეს კიდეც. ჯერ მეფის მიხაილ ფეოდოროვიჩის სადღეგრძელოდ პარაკლისი გადაიხადეს და მერე ქამნი სწირეს. სწირავდნენ,—რა თქმა უნდა,—რუსულად, მოსკოვის წესით, დიდებით და გამოჩენებით, ქართველ სამღვდელოების შესაგონებლად და საწერთნელად და ქართველ ერის სალხენად და საშვებლად.

დაუმადლა კახთ-ბატონმა რუსის სამღვდელოებას ასეთის წირვისათვის: „ძლიერს ეელირსე წესიერს წირვასაო, ოთხთა პატრიარხთა წირვესაებრ სრულსა. ამას იქით არ ვინაღვლი, თუნდაც მოვკვდე, რადგან ვიხილე ჰეშმარიტი წირვაო!“

თქვენ წარმოიდგინეთ, რა მწვედ უნდა მოხვედროდა ეს მეფის სიტყვა ალავერდელის გულს...

წირვის შემდეგ კახთ ბატონმა დაითხოვა ყველა ვინც ეკლესიაში ახლდა, თვით დათუნა ბატონიშვილიც; დარჩნენ მხოლოდ ზებედე ალავერდელი, ზაქარია ნეკრესელი, ნიკიფორე მიტროპოლიტი

და რეკაზ-ბეი სალთხუცესი. მეფემ დაისვა წინ სკამებზედ რუსის დესპანები და ასე ეუბნა:

— მე ვაცნობე დიდს ხელმწიფეს თუ, ვით შემავიწროეს ჩემმა მტრებმა, ვთხოვე მოეცა ჩემთვის შველა და მფარველობა და გამოეგზავნა კაცები ჩემის სამეფოს დასათვალიერებლად, დავპირდი მაშინ ხელმწიფეს მეახლებინა მზევლებად ჩემი შვილები დავით და თინათინ. ამ მოციქულობით რომ ნიკიფორე მიტროპოლიტი გამოვიტუმრე, ქართლი მე მქონდა, *) მაგრამ მალე შაჰსეფიმ წამართვა ქართლი და ქალი მომთხოვა. არ მინდოდა გამეწირა ჩემი ღვიძლი შვილი და გავიქეცი მთებში, მაგრამ ველარ ავიტანე ჩემი ქვეყნის აოხრება და ჩემი ხალხის სისხლის ღვრა და მივეცი ჩემი თინათინ ურჯულოს. შემეშინდა, ვაი თუ ამანაც ჩემი ქალი ისე აწამოს, როგორც შაჰბასმა—დედა ჩემი ქეთევან დედოფალი და ჩემი ორი შვილი ლევან და ალექსანდრე.

თეიმურაზ მეფემ შესწყვიტა სიტყვა და უბძანა ალაევერდელს მოეტანა ლუსკუმა, რომელიც საკურთხეველში ინახებოდა. რა მოართვეს, ახადა და უჩვენა დესპანებს ნაწილნი ქეთევან დედოფლისა: მოკვეთილი თავი და მარჯვენა ხელი. მერე განაგრძო მეფემ:

— ახლა მინდა დავივიწყო რაც ჭირი გადამხდომია, მინდა მტკიცედ ვიდგე მართლ-მადიდებელს ბერძნულს სჯულზედ და ამისთვის დაევმორჩილე დიდ ხელმწიფეს. დიდად მიხარიან, რომ ხელმწიფემ შეიწყნარა ჩემი ვედრება, თქვენ გამოგგზავნათ, წერილი მიბოძა და მპირდება მფარველობასა და შველას. მადლობასა ვწირავ ასეთის მოწყალებისათვის...

მეფე წამოდგა, დესპანებს თავი დაუკრა და კვლავ განაგრძო:

---

*) თეიმურაზ მეფე ქართლიდან უკვე განდევნილი იყო (1634 წ.), როცა ნიკიფორე მიტროპოლიტი გაგზავნა რუსეთს (1635 წ.). ამ სიტრუით კასთ ბატონს უეჭველია თავი უნდოდა გამართლებინა, რომ რუსთ ხელმწიფეს დაბირებული არ აუსრულა.

— აქამდის ბნელს ვიჯექ და ხელმწიფის წყალობით კელავ გამითენდა. მე, ჩემი შვილი და მთელი ივერია მონატრენი ვართ დიდის ხელმწიფის ყმობისა. დიდი ხელმწიფე მწერს, ჩემი დესპანები გეტყვიან, რა პირობით უნდა შემოხვიდე ჩემს მფარველობაშიო,— მითხარით, რა უბძანებია?

— დიახ, ბატონო,—მიუგეს რუსის დესპანებმა,—დიდმა ხელმწიფემ მოწყალებით მოგხედა და შეიწყნარა შენი თხოვნა. ხელმწიფე გიწყალობებს მფარველობას და დაიცავს მტრისაგან შენს სამეფოს, სამაგიეროდ-კი მხოლოდ იმას ითხოვს შენგან, რომ შენ, შენმა შვილმა და შენმა დიდებულებმა დაუფიცოთ იმ ფიცის წიგნით, რომლის ასლიც ხელმწიფემ თან გამოგვატანა. ამ საფიცარით უნდა ალუთქვა, რომ შენ, შენის შვილითა და მომავალით, შეუნახავ დიდს ხელმწიფეს და მის მომავალსა სამარადისოდ ერთგულობას და არც ერთს სხვა ხელმწიფეს არ მიუდგები. საფიცარს შენ და დავით ბატონიშვილმა ხელი უნდა მოაწეროთ და თქვენის ბეჭდით დაამტკიცოთ. ასეთს ფიცს დიდი ხელმწიფე სათნოდ მიიჩნევსო,—დასძინეს დესპანებმა.

მეფემ თავი დაღუნა და დიდს საგონებელში ჩავარდა: მაგ ფიცით რომ შეეკრა რუსთ ხელმწიფეს და ჩემი თავი, შვილი და მომავალი სამუდამოდ ყმად დაეუყენო,—მე ხელში რაღა მრჩება?... რო არ მოდის ეს რუსის ჯარი!.. ან მე თუ შევფიცე, განა დათუნა მისცემს ფიცსა? ან ეს თავ-აღებული თავადიშვილები როგორ დავიყოლიო და როგორ დავაფიცო?

— თუმცა მე და ჩემი შვილი და მთელი საქართველოს ერი დიდ ხელმწიფის ერთგულნი ყმანი ვართო,—მიუგო დესპანებს კახთ ბატონმა,—მაგრამ თქვენ რომ ფიცსა მთხოვთ, ახლა ვერ დავდებ, დრო მომეცით მოვიფიქროო.

ასე სთქვა მეფემ და დაითხოვა დესპანები.

VII

ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა თეიმურაზ მეფე,—არ ეგონა რომ ეგეთს ფიცს მოსთხოვდნენ. თითონ დიახ მზად იყო დაეფიცნა, რაც უნდა ფიცი ყოფილიყო, მაგრამ თავის შეილისა და დიდებულების იმედი არა ჰქონდა.

თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორე მიტროპოლიტს გარდა არავისა სჯეროდა რუსების შველისა. რუსთ ხელმწიფე ალექსანდრე მეფესაც ჰპირდებოდა შველას, მაგრამ ამბა სადაა აქამდის რუსის ჯარი? შორს არის რუსეთი, სპარსეთი-კი აქვე, მტკვრის გაღმაა. ისევ სპარსელებთან მორიგება და ყმობა სჯობია, ვინემც რუსეთის იმედით მათთან ომი, იმიტომ რომ რუსეთის იმედი მუდამ გაცრუებულა, ყაენის რისხვა-კი სიკვდილსავით აუცილებელია.

ამას გარდა ყველას თავისი მიზეზი ჰქონდა რუსეთის მფარველობის უნდობლობისათვის. რად იქნებოდა დავით ბატონიშვილი რუსეთის მომხრე?—ახალგაზდა, თავმომწონე ტახტის მემკვიდრე, რომელსაც ცბოვრების გაჭირვება არ გამოეცადა, მეფობის ტვირთი ჯერ არ ექედნა და მკლავი არ გამოეცადნა, როგორ იტყოდა ჩემთავად ვერ ვუპატრონებ სამეფოს და ამ თავითვე ჩამიბარებია რუსთ ხელმწიფისათვისაო? ეგ ხომ თავის ღირსებისა ⁄ დამოუკიდებლობის უარ-

დავით ბატონიშვილი.

ყოფა იქნებოდა. ამიტომაც ეგრე უგულოდ და ცივად ეპყრობოდა დავით ბატონიშვილი რუსს დესპანებს. უეჭველია, მეფესაც ეცოდინებოდა თავის შვილის ასეთი გუნება და ამის გამო დაითხოვა ეკლესიიდან, რაკი დესპანებთან მფარველობაზედ მოლაპარაკება დააპირა.

არც დიდებულებს მოეწონებოდათ რუსეთის მფარველობა? რუსეთის მფარველობა კახთ ბატონს გააძლიერებდა და გაძლიერებული მეფე, რაკი გარეშე მტრისაგან მოიცლიდა, ამავე დიდებულებს მოუბრუნდებოდა და მათს თვითნებობას ბოლოს მოუღებდა. ან რა ხელსაყრელი იყო რუსეთის მფარველობა: ისეთს რას მისცემდა რუსთ ხელმწიფე დიდებულს, რის ჩუქებაც ყაენს არ შეეძლო? ამას გარდა ვინ არ იცის, რომ ყაენი უფრო ხელ-გაშლილია და მის გულს უფრო ადვილად მოიგებ, ვინემც რუსთ ხელმწიფისას?—ერთი ლამაზი ქალი რომ მიართვა ყაენს, ყელამდე აგავსებს საჩუქრებითა. თუ მეფე გაუწყრა და დიდებული ვერ გაუძალიანდა, რას ინაღვლის?—დაჭკრავს ფეხს და ისპაანს ამოჰყოფს თავს, სადაც ყაენი სიხარულით ჩარიცხავს თავის „ყულარებში". *) რომელს მხედარს იშოვიდა ყაენი ქართველზედ უგულადესსა და უერთგულესს?.. ოღონდ უალერსე.

მაგრამ რუსეთის მფარველობას ყველაზედ მეტად ჩვენი სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდა.

მგონია, პირველს შეხვედრაზედვე ქართველმა და რუსმა სამღვდელოებამ აითვალწუნეს ერთმანერთი. რუსებს, თავიანთ არქიეპლების მედიდურობასა და პრანჭია სიდინჯეს დაჩვეულებს, პირველადვე არ მოეწონათ ქართველი ეპისკოპოსები, რომელნიც უბრალო ქცევითა და მოძრაობის ხასიათით სრულებით არა ჰგვანდნენ რუსს მღვდელმთავრებს. ქართველებს-კი სწყინდათ, რომ რუსის მღვდლები მოძღვრობას ჩემულობდნენ და ესე იქცეოდნენ, თითქო მწვალებლების მოსარჯულებლად მოსულიყვნენო.

---

*) ყაენის როქის სპა, გვარდია.

რუსის მღვდლები იმას-კი არ იკვლეედნენ თუ, რამდენად დაიცვეს ქართველებმა ქრისტეს მცნება ან მართლ-მადიდებელ ეკლესიის კანონები, არა—ისინი მხოლოდ საყდრების გარეგნობასა და წირვა-ლოცვის წესში ეძებდნენ ნაკლს. ყველა ასეთს ნაკლულოვანებას როგორც დიდს ცოდვას აყვედრიდნენ ქართველებს და გულს უკლავდნენ.

— თქვენს ეკლესიებს გუმბათზედ ჯვარი არ ასვიაო, ტრაპეზი კედელზეა მიკრული, აღსავლის კარების მაგიერ ფარდა გაქვთ ჩამოფარებული, დიაკვნები უსტიქაროდ შედიან საკურთხეველშიო,—ემდურებოდნენ რუსის მღვდლები ქართველებს.—და ყველა ეგ მღვდელ-მთავრების ბრალია, რომლებიც არ იცავენ ეკლესიის წესსაო.

— ყველა ეგ მაჰმადიანების ბრალიაო,—თავს იმართლებდა ალავერდელი,—ჩვენს ეკლესიებსაც ჰქონდა სიმდიდრე, მაგრამ ურჯულოებმა აიკლეს და გაძარცვეს. სამაგიეროდ საქართველოს ხალხი მტკიცედ დგას ქრისტეს სჯულზედ და ვერც ამოდენა სისხლის ღვრამ და ვერც აოხრებამ ვერ შესცვალეს მისი გულიო.

— თქვენ ოთხს სეფისკვერზედ სწირავთ და არა ხუთზეო,—აყვედრებდნენ რუსის მღვდლები,—თქვენს ბარძიმ-ფეშხუმსა და სამოსელზედ ჯვრები და წმინდანები არა აქვთ გამოსახული, თქვენ საზარებას ზემო ნაპირზედ ეამბორებით და არა ჯვარცმის საფეხურზედაო.

— ჩვენი ეკლესიები მრავალის წმინდა ნაწილებით არის გამშვენებული და მრავალმა მოწამემ დაანთხია თავისი წმინდა სისხლი და დალია ბრწყინვალე სული ჩვენის სჯულისათვისაო,—ეუბნებოდნენ ქართველი მღვდელ-მთავრები.

ასეთი და ამგვარი ბაასი ჰქონდათ ხოლმე რუსსა და ქართველს სამღვდელოებას და, რასაკვირველია, მათი აზრების შეუსაბამობა ვერ დაამყარებდა მათ შორის კეთილ-განწყობილებას. მაგრამ მათი ურთიერთობა უფრო გამწვავდა, როცა ალავერდელმა სთხოვა იოსებ

არქიმანდრიტს ეწირნა ალაევრდის ტაძარში და ამან უარი უთხრა: „უკურთხს საყდარში ვერა ვწირავო“.

ეგ-კი მეტის მეტი იყო. რაო, განა ჩვენ ურჯულოები ვართ და უკურთხს ეკლესიაში ვწირავთო?—გაფიცხდა ალაევრდელი.—განა თეოფანე იერუსალიმის პატრიარხი და ტიმოთე კოსტანტინეპოლის პატრიარხი, აქ რომ ბრძანდებოდნენ და ამ ტაძარში სწირეს,—განა იმათ ამ რუსის მღვდლებზედ ნაკლებ იცოდნენ საეკლესიო წესი და რიგი?

ბოლოს, საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ქართველი სამღვდელოება რუსის მღვდლებს აღარ ეკარებოდა, და ქართველების საწვრთნელად და დასარიგებლად ჩამოსულებს გამგონი არავინ-ღა ჰყვანდა. რუსის მღვდლები შესჩიოდნენ კახთ ბატონს: ტყუილად დამშვრალ ვართ და ტყუილად მოესულვართო, თუკი საეკლესიო წესებში ვერაფერი გაგვისწორებიაო.

თეიმურაზ მეფეს უნდოდა რუსის მღვდლებისათვის ხათრი შენახა, მათს ნათქვამს მუდამ იდასტურებდა და ბევრს რასმე უთმობდა. ერთხელ ხომ უქო ალაევრდელის წინ წირვის წესი; მეორედ-კი ისე დაამცირა მთავარ-ეპისკოპოსი, რომ ზეგანის ეკლესია, სადაც ზებედემ აღდგომის დღეს სწირა, აღდგომის მეორე დღეს მეფემ ხელმეორედ აკურთხებინა რუსის მღვდლებს... ზებედე,—გულფიცხი და თავ-მომწონე მეგრელი,—რასაკვირველია, ასეთს შეურაცხყოფას ვერ აიტინდა.

რუსის სამღვდელოების მისსია თავის თავადაც არ იყო ქართველ სამღვდელოებისათვის მოსაწონი; რუსებმა-კი თავიანთ ძნელ მოვალეობის ასრულებას ისე კადნიერად და უდიერად მიჰკვეს ხელი, რომ უეჭველია ქართველი სამღვდელობა უნდა დამფთხალიყო. არა ერთი ქართველი ეპისკოპოსი იტყოდა თავის გულში: ამ რუსის მღვდლებს თუ ახლავე ასეთი გული აქვთ, ჩვენს ქვეყანას რომ დაეპატრონებიან, მაშინ რაღას გვიზამენო!?..

ცხადია, რომ რუსებზედ გულ-ამღვრეული ქართველი სამღვდე-

ლობა არ შეაგულიანებდა არც დავით ბატონიშვილს და არც დიდებულებს რუსთ ხემწიფეს ყმობისა და ერთგულობის ფიცი მიეცითო.

ასე და ამგვარად, თეიმურაზ მეფესა და მის შვილსა და დიდებულებს შუა უთანხმოება ჩამოვარდა. მეფემ ვერც ერთი და ვერც მეორენი ვერ დაიყოლია, რომ რუსთ ხელმწიფისათვის დაეფიცნათ, და ვერც ძალა დაატანა, რადგან მათის გაბოროტებისა ეფიქრებოდა. მეორეს მხრით, რუსთ ხელმწიფის წყრომისაც ეშინოდა, თუ მისი დესპანი ხელ-ცარიელი დაუბრუნა. არ იცოდა მეფემ როგორ უნდა დაეხწია თავი ამ გაჭირებისათვის.

ალ. სარაჯიშვილი.

(დასასრული იქნება)

ხელმწიფე და პატარა მზარეული.

(ჩინური ზღაპარი).

ინეთის ერთ ხელმწიფეს, რომელიც ამ ორი საუკუნის წინეთ მეფობდა, ჩვეულებათ ჰქონდა თავისი სიტყვა ყოველთვის მტკიცეთ აესრულებინა.

ამ ხელმწიფის სამზარეულოში იყო ერთი პატარა მზარეული, რომელიც მუდამ დილიდან საღამოამდის ანდაზებს ამბობდა. ყველა დასცინოდა მის ამ გვარ ჩვეულებას. ერთხელ უფროსი მზარეული გაუჯავრდა თავის პატარა თანაშემწეს, რადგან ამ პატარა მზარეულმა

თეალი შეასწრო თავის უფროსს, როდესაც ის ხელმწიფის მისართმევ „მერცხლის ბედის“ საჭმლის წვენს ლოკავდა. ერთხელ მზარეულმა დრო ჩაიგდო და ხელმწიფესთან უჩივლა, რომ ყმაწვილი წარამარა ანდაზების თქმით მიშლის მუშაობასაო. სწორეთ კაი დროსაც უჩივლა. ხელმწიფე იმ დროს გაჯავრებული იყო: მზარეულმა სუკის მწვადები დამწვარი მიართვა.

— სწორეთ იმ წუთას, როდესაც უნდა გადამეტრიალებინა შამფური, ეს საძაგელი ყბედი მარწმუნებდა რომ „ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო.“ ამაზე გაეერთე, შამფური ვერ გადავატრიალე და, თქვენო უდიდებულესობავ, მწვადი დიმეწვა.

— იცი რას გეტყვი: თქვენ ორივეს დაგსჯით, რადგან ორივენი ყოფილხართ დამნაშაე, შენ უგემური საჭმელი ბევრჯელ მოგირთმევია ჩემთვის და ამიტომ დღეის იქით ჩამომირთმევია შენთვის მზარეულობა.—რაც შეგეხება შენ, ყბედო, რადგან ყველას არწმუნებ, რომ „ვინც მოითმენს ის მოიგებსო“, მე ისეთ ადგილას გიკრავ თავს, რომ იქიდან ძნელათ თუ დაბრუნდები. მაგრამ ვინ იცის, შენი გამჭრიახობით და მოთმინებით იქნება უშველო კიდეც თავს. ხომ გაიძახი: ვინც მოითმენს—ის მოიგებსო. ხომ კარგათ იცი, ჭკვიანი და მოწყალე ხელმწიფის სახელი მაქვს და ჩემ სიტყვას ყოველთვის მტკიცეთ ვასრულებ. გაძლევ პირობას, თუ შენ სხვის დაუხმარებლათ გამოხვალ იქიდან, სადაც დაგამწყვდევ-გაგხდი პირველ კაცათ სამეფოში.

პატარა მზარეული კერპი, თავის ნათქვამი იყო, ბოდიშის მოხდის მაგივრად წაიბუტბუტა: „კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილას სცემს მარადო“.

— მე ნუ მეხუმრები, უთხრა ხელმწიფემ, შენა თქვი—„ვინც მოითმენს ის მოიგებსო“ მერე დაუმატე „კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთიო“. დაამწყვდიეთ ეს ახლავე ფაიფურის კოშკში და დღეის იქით მაგის ხსენება არ იყოს. ყოველ დღე ბრინჯი და წყალი მიაწვდინეთ, ენახოთ როგორ უშველის თავს!

პატარა მზარეული წაიყვანეს ფაიფურის კოშკში, იქ ასვლა

შეიძლებოდა მხოლოთ იმითი, რომ კაცს ჭახრაკის შემწეობით თოკით ასწევდენ მაღლა, თოკის ბოლო თავდებოდა ჩანგლით და ჩანგალი კი კედლის კარებში ისე იყო გამაგრებული, რომ თუ ზემოდან მოინდომებდენ ჩამოსვლას, უნდა მეორე თოკი გაეყარათ კარების საშუალებით ჩანგალში, თორემ სხვაფრივ არ შეიძლებოდა კოშკიდან ისე ჩამოსვლა, რომ უფსკრულში არ ჩავარდნილიყო კაცი.

პატარა მზარეულს მისცეს ხელში ერთი პარკი ბრინჯი და ერთი დოქი წყალი და ისე შესვეს კოშკში. სულ მაღლა რომ ავიდა და იქიდან გადმოიხედა, ადამიანები მერცხლის ტოლათ ჩანდნენ.

— ჰეი, ჰეი! თქვა მან, სანთელ-საკმელი თავის გზა' არ დაჰკარგავსო. რა დღესაც მზე არ ანათებს, ის დღე ღამის დარიაო. „ცდა ბედის მონახევრეაო“. „როგორც გიჭირდეს ისე გიღირდესო“.

ამ ჭკვიანურ ანდაზებმა ცოტა დაამშვიდეს პატარა მზარეული. პატარა ხანს იჯდა, მერე დაწვა დასაძინებლათ და თან ბუტბუტებდა:

— როცა გათენდება, მაშინ ეიფიქრებ ჩემ საქმეებზე. ნათქვამია „დილის შარი სჯობია, ღამის ხეირსო.“

კოშკის ბანი დაჩრდილული იყო მასზე გაშენებული ხეებით.

პატარა მზარეულმა კარგათ გამოიძინა. გაიღვიძა თუ არა დაასველა ბრინჯი, შეჭამა და დაიღრიჯა. იმას ისე შიოდა, რომ თავის თავს ანუგეშებდა: „მეტი სიტყვა თავს აატკენს, მეტი ჭამა მუცელსაო“. მარტო ყოფნით, რომ არ გამოსულელებულიყო მოჰყვა ხეებზე ფოთლების თვლას.

ამ დროს პატარა მზარეულმა უცბათ შეამჩნია, რომ ხეებზე ზოგი ფოთლები ინძრეოდა, თუმცა სიო არ იძვროდა. ყმაწვილი ყურადღებით დააკვირდა და ერთ ფოთოლზე შეამჩნია აბრეშუმის ჭია, რომელიც აბამდა ქსელს, მერე დაინახა მეორე ჭიაც, მესამეც, მეოთხეც. ამ აბრეშუმის ჭიებს რომ შეხედა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე გაიცინა.

ორ დღეს შემდეგ, როდესაც მოხარშული ბრინჯით პარკი მიაწოდეს ყმაწვილს, ქვემოდან ამოსძახეს:

— ეი, შე კაი კაცო! რას იტყვი, რა გადაეცეთ ხელმწიფეს შენ მაგივრათ.

— უთხარით ჩემ მაგიერათ რომ: „აჩქარებითა სოფელი არაევის მოუჭამია-თქო“, ჩამოსძახა დამწყედეულმა.

ამისთანა პასუხის შემდეგ ხელმწიფემ გაიფიქრა: „უნდა მოვიცადოო“. მერე გაგზავნა კაცები გასაშინჯათ—მაგრათ არის თუ არა ჭახრაკი, თოკები, კლიტე და კარები. მოიხმო დარაჯი, რომელიც კოშკის შესავალ'ში ცხოვრობდა და უთხრა:

— იცოდე, თუ ის ტყვე ცოცხალი გაიპარება—შენც, იმასაც და ყველა დარაჯებს სასტიკათ დაგსჯით.

— ოი, ცით მოელენილო ხელმწიფე!—უპასუხა დარაჯმა,— მხოლოდ ფრინველებს, რომელნიც ამ კოშკის თავზე სხედან, შეუძლიანთ აქედან გაფრენა და პატარა მზარეულს კი ფრთები არ ასხია.

მაშინ ხელმწიფემ ბრძანა:

— ხვალ მაგ პატარა მზარეულს ჰკითხეთ, ხომ არაფერი არა აქვს სათქმელი, მე მინდა მოწყალება გავიღო. მოიფიქროს კარგათ, სამ დღეს ვაძლევ სისულელის მოსანანიებლათ. ეს ყველაფერი გადაეცით.

როდესაც მზარეულს ჰკითხეს, იმან უპასუხა:

— შეატყობინეთ ხელმწიფეს, მისი მონა მზარეული მაგ წყალობისთვის მადლობას მოახსენებს, მაგრამ ის ისევ ისე კოშკში დარჩება, რადგან „რაც არ მოხდეს ის არის გასაკვირველიო“.

ხელმწიფეს რომ გადასცეს ამ გვარი პასუხი, შეკრთა. ამან იცოდა ყველა ანდაზები, მაგრამ ამ გვარი ანდაზა არ გაეგო. შეყარა სასახლეში ყველა ბრძენნი და ნასწავლნი, რომ აეხსნათ, მაგრამ არც იმათ გაეგოთ თავის დღეში ამგვარი ანდაზა.

ხელმწიფე ჯერ ძალიან ყურადღებას აქცევდა პატარა მზარეულს, მერე-კი საქმეებში გაერთო და სულ მიივიწყა ფაიფურის კოშკში დამწყედეული ტუსაღი. მაგრამ ტუსაღი სულაც მოწყენილათ არ თვლიდა თავის თავს. ის იქ მაღლა თავისებურათ მუშაობდა: თვლიდა რამდენი ბრინჯის მარცვალი შეეჭამა, რაც დამწყედეული იყო; დაფიქრებით თვალს ადევნებდა აბრეშუმის ჭია, ქსელში როგორ ეხვევოდა. მერე იმან თორმეტიოდე ყაჭის პარკი გარეცხა და ძაფით

ამოახეი, დაანარჩუნა მხოლოთ ოთხი პარკი, იქიდან გამოვიდენ პეპელები, პეპელებმა დასდეს კვერცხები, კვერცხებიდან გამოიჩიკა აბრეშუმის ჭიები, რომელნიც იკვებებოდენ კოშკის ბანზე რომ ხეები იდგა იმათი ფოთლებით.

პატარა მზარეულს ახლა თავის თავი მარტოთ აღარ ეგონა, ამხანაგებათ გაუხდენ აბრეშუმის ჭიები, რომლებიც დღე და ღამ მუდამ, მუშაობდენ. თითონაც განაგრძობდა ბრინჯის თვლას და ყაჭის გამოხვევას. ასე გავიდა ხუთი წელი.

ერთხელ ხელმწიფემ ძალიან მოიწყინა. ამ დროს მოაგონდა პატარა მზარეული; მაშინვე დაიბარა კოშკის დარაჯი და ჰკითხა:

— ტუსაღი ისევ მაღლა არის!

— დიახ, დიდებულო ხელმწიფე!

— რას ამბობს?

— არაფერს, მღერის?

— მართლაა! თქვა ხელმწიფემ.—ჰკითხე, ხომ არაფერი აქვს ჩემთან სათქმელი.

როდესაც ჰკითხეს ტუსაღს, იმან უპასუხა: სათქმელი არაფერი მაქვს, იმას კი ვიტყვი მხოლოდ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. „ღმერთს მთა და ბარი არ გაუსწორებიაო“.

ხელმწიფემ რომ ამგვარი პასუხი მიიღო თავისთვის წაიბუტბუტა:

— სულელი! რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ გაქცეულიყო... ჩემმა პირველმა მინისტრმა თავი მომაბეზრა. ჩემზე უკეთესათ თამაშობს ჭანდრაკს, მაგრამ მე რომ მეთამაშება, ყოველთვის აგებს. კარგი იქნება რომ გამოვცვალო, რაექნა, ვინ ჩავაყენო მის ადგილს.

ერთხელ ხელმწიფეს ღამე ცუდათ ეძინა. იმ დილით ეზოდან რაღაც არა ჩვეულებრივი ხმაურობა შემოესმა. იკითხა მიზეზი.

— ვიღაც უბრალო კაცი მოსულა და ამბობს, რომ ვითომ თქვენი დაბარებული იყოს, თქვენო უდიდებულესობავ! ჩვენ კი ვიცით, რომ თქვენ არავის მოელითო—მოახსენა ვეზირმა.

— საიდან იცი, ველი მე ვისმეს თუ არა? უთხრა ხელმწიფემ,— მომგვარე ახლავე ის კაცი, იქნება რა საჭირო საქმე აქვს.

შემოიყვანეს ერთი საწყალი მათხოვარი, რომელიც მაშინვე ხელმწიფეს ფეხქვეშ ჩაეუვარდა.

— წამოდექ, შენ ეი, მითხარი რა გინდა! შეჰყვირა ხელმწიფემ.

მათხოვარმა წაიბუტბუტა:

— მოთმინებამ და შრომამ გამანთავისუფლეს ფაიფურის კოშკიდან. შემიბრალეთ და მაპატიეთ ჩემი თამამი საქციელი.

ხელმწიფე ჩაფიქრდა: არ იცოდა გაეცინა თუ გაჯავრებულიყო.

— კარგი, მე შენთვის მიპატიებია, უპასუხა ხელმწიფემ.—მაგრამ, უეჭველია, გიშველეს და მე დავსჯი იმას, ვინც შენ ხელი შეგიწყო. მომგვარეთ ახლავე ფაიფურის კოშკის დარაჯი.

დარაჯი შემოვიდა შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი.

— დიდებულო ბატონო! წარმოსთქვა იმან.—ეგ კაცი თვალთ მაქცი უნდა იყოს! კოშკის კარი დაკეტილია, თოკი ჭახრაკზე არ არის გადაგდებული. ეგ ფრინველივით ისე ჩამოფრენილა, რომ თვალი ვერაფის შეუსწერია!

— მითხარ რა მანქანებით ჩამოხვედი. მარტო მე მითხარ, ნუ დამიმალავ. უთხრა ჩაფიქრებით ხელმწიფემ.

— დიდებულო ბატონო, აბრეშუმის ჭიები ქსელავდენ ყაჭს და პატარა მზარეული-კი აბრეშუმის ძაფს ახვევდა.
ამან ჯიბიდან ამოიღო საჩვენებლათ რამდენიმე ყაჭის პარკი და წმინდა აბრეშუმის ბაწარი მოყვითალო-ფერისა.

ხელმწიფემ გასინჯა ბაწარი და ნახა რომ ძალიან მაგარი იყო.

— მე შენ გიკრძალავ, რომ ვისმეს გაუმხილო ეს ამბავი. მომე ეგ თოკი, უთხრა ხელმწიფემ. ახლა-კი ეუბრძანებ მხლებელებს რომ მოგრთონ შენ ისე ძვირფასათ, როგორც შეჰფერის ჩემ დიდ ვეზირს, რადგან დღეის იქით შენთვის მომიცია ეგ თანამდებობა.

— „რაც არ მოხდეს ის არის გასაკვირველიო!“ უპასუხა დაბლა თავის-დაკვრით პატარა მზარეულმა.

ან. წ—ლისა.

ფიზიკური გეოგრაფია *)

(პროფესორი გეიკისა)

V. დანგრეულ ქვათა შრეებს რაღა ემართება.

როგორ ჩნდება ნიადაგი?

ინდერიდან ან ბალიდან რომ ცოტაოდენი მიწა აიღოთ და ყურადღებით გასინჯოთ, თქვენ დარწმუნდებით, რომ მიწა ქვათა შრეების პატარა-პატარა ნაწილებისაგან, თიხისაგან და ქვიშისაგან შესდგება, ზოგ მიწაში მცენარეულობის ნაფლეთებიც შეგხვდებათ; ნიადაგი შავი ფერისაა, რათა იქ მცენარეულობის და ცხოველების ნაკვთებია შერეული. აბა გავითვალისწინოთ ახლა თუ რანაირათ შეზავებულა ამოდენა ნაირ-ნაირი ნივთიერება.—ნიადაგი როგორ გაჩენილა?

ჩვენ ვთქვით, რომ მიწის ზედა-პირი ინგრევა, იშლება-თქო. მართლაც ქვათა შრეები ინგრევა, ქვები წლითი-წლობამდის პატარავდება, მაგრამ მიუხედავათ ამისა დედამიწაზე არაფერი ნივთიერება არ იკარ-

*) ისილე „ჯეჯილი“ № V.

გება და არც ქრება, არც ისპობა. ქვათა შრეების შემადგენელი ნივთიერება ინგრევა, იშლება და კი არა ქრება. იგი მხოლოთ სახეს იცვლის. როგორაო? იკითხავთ, სად მიდის, ან რა ემართება ამოდენა ქვათა შრეებიდან ჩამონახვეთქ ნივთიერებასო? მაგის პასუხს შემდეგი მოგახსენებთ. ყოველი ციდან გადმოვარდნილი წვიმის წვეთი მიწის პირზე ცვლილებას ახდენს. წვიმის წყლის ქიმიურათ მოქმედებაზე ჩვენ უკვე ვიბაასეთ და იცით, რომ წვიმის წყალი ამ შემთხვევაში შრეებს ხსნის და თან იტაცებს. მართლაც მუდმივ ამნაირი მოქმედებით, როცა წვიმა წვეთი-წვეთზე და თოვლი ფერფლი-ფერფლზე რამოდენიმე ხნის განმავლობაში შრეებს ეცემა, მაშინ ეს მოქმედება ყოველისფერს ანგრევს, ანადგურებს, ხოლო წვიმის წყალი მეორე ნაირადაც, მექანიკურადაც მოქმედობს. აბა, ეაკე ალაგზე, მდინარის პირას, ქვიშას დააკვირდით, როცა იქ წვიმის პირველი წვეთები ეცემა, თქვენ ხედავთ, რომ ყოველი წვეთი ქვიშაზე დაღს აჩენს; იგი სილის გროვას იქით აქეთ მიწევ-მოწევს ხოლმე. თავქვე ალაგზე, სადაც წვიმიდან შემდგარი ღელე მირბის მას თან თიხის ან ქვიშის ნაწილებიც მიაქეს. წყლის ამისთანა მოქმედებას ჰქვია მექანიკური მოქმედება; ხოლო წყალი, როცა მიწასა ხსნის, გასჭამს როგორც შაქარს ან მარილს—ეს წყლის ქიმიური მოქმედებაა. ყოველი წვეთი ორივენაირათ, მექანიკურათაც და ქიმიურათაც მოქმედებს და აქნაირათ წვიმა ხელს უწყობს ქვათა შრეების ნგრევას. წვიმა არამც თუ მიწის ზედა პირს ხსნის, კიდევაც თან იტაცებს და მით მიწას ახალს პირს უჩენს, რათა შემდეგ ისიც გასჭამოს და თან წაიტაცოს. კიდევაც ამიტომაა დედამიწაზე დაშლილი შრეების მუდმივი მოძრაობა. ამ ნაშალის ერთი ნაწილი ამოღრმაებულ და სწორ ალაგზე გროვდება, ხოლო მეორე ნაწილი მდინარეებში და ზღვებში ჩადის. აი ამ შრეების დაშლილ ნაწილებისაგან ერთის მხრივ და მცენარეების და ცხოველების ნაშთებისაგან მეორე მხრივ შესდგება ჩვენი სახნავი მიწები ანუ ნიადაგი. ამიტომაც ნიადაგი სხვა-და-სხვა ნაირია იმისდა მიხედვით თუ რანაირი ქვის შრეებისაგან არის იგი შეზავებუ-

ლი. მაგალითათ: თიხის ზრეს ნაწილებისაგან თიხ-ნარეევი ნიადაგი შესდგება, კირ-ნარეევისაგან კირ-ნარეევი და ასე.

ამისთანა ნგრევა რომ არ იყოს მიწის ზედაპირისა დედამიწა ალარც ისე საამურათ იქნებოდა ამწვანებული მცენარეულობით, რიგორც ახლა არის. სალს კლდეებზე ან-კი რიგორ გაიდგამდა ფესვებს მცენარეულობა! ხოლო რაკი მიწის პირი ინგრევა, ამ ნგრევით ჩნდება ნოყიერი ნიადაგი, რომელიც ყოველგან ეფინება მთასაც და ბარსაც. რადგან მეტათ მაღალ კლდე-მთებზე ეელარ შეჩერებულა ნიადაგი, იქ მცენარეულობაც არ არის ხოლმე.

განუწყვეტლივ ინგრევა მიწის ზედა პირი, ამიტომაც ნიადაგიც განუწყვეტლივ ჩნდება. ეს რომ ასე არ იყოს და ერთხელვე გაჩენილი ნიადაგი ალარ იცვლებოდეს, მაშინ მცენარეულობა მუდმივ იქიდან საზრდოს წუწენით, მთლათ გამოფიტავდა ნიადაგს. მაგრამ წვიმა ზოგიერთ ნიადაგის შემადგენელ ნაწილებს თან იტაცებს, მათ მაგივრათ ახალს მოიტანს, ამავე დროს ქვათა შრეები კვლავ ინგრევიან, იმლებიან და ამნაირათ ჩნდება ახალი ფენა, ნიადაგი. ამ რიგათ დღითი დღე ნიადაგი თან-და-თან ახლდება, ამით მცენარეულობის საზრდო ნივთიერებაც ახლდება. ნიადაგის გაჩენას და განაახლებას მცენარეულობაც დიდათ შეელის. იგინი იდგამენ ფესვებს შრეების ნაპრალებში და ამით ქვებს ანგრევენ, აფხვიერებენ. მცენარის დამპალი ნაწილები აჩენს ნახშირბადის სიმჟავეს, რომელიც შრეებს გასჭამს ხოლმე. ჩვეულებრივი მიწის ჭიებიც დიდათ ეხმარება ამ მოვლენას, მიწის ნგრევას. ჭიები მიწას ურევენ და ქვევიდან ზევით ახალ-ახალი ნივთიერება ამოაქვთ.

ამ საზოგადო ნგრევას და ნიადაგის მუდმივ განახლებას თუ დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ დაშლილი მიწის ზედა პირი თაქვე, ზღვისაკენ მიისწრაფვის. მართლაც მაღალი მთებიდან ჩამონახეთქი ნაწილები ასი ათასი წლის განმავლობაში მიმოგზაურობენ. ეს ნაწილები ჯერ კარგა ხანს ფერდოებზე შეჩერდება, აქედან შეიძლება წვიმამ ეს ნაწილები ეაკეზე ჩამორეცხოს და იქ ნიადაგი გააჩინოს. შემდეგ წყალი

ამ ნიადაგსაც წარეცხაეს დაბლობისაკენ, მდინარის ნაპირებისაკენ წაიღებს, ბოლოს კარგახნის მოგზაურობის შემდეგ ეს ნაწილები ზღვას მიატანს და იმის ძროს ქვიშათ და ტალახათ დაედება.

მიწის პირიდან დაშლილ ნაწილების წარეცხვა დიდი წვიმის დროს შეგიძლიათ გაითვალისწინოთ. ამ დროს ყოველი ღელე ნიადაგიდან ჩამორეცხილ დაშლილ ნაწილებისაგან იმღვრევა, ტალახიანდება. ხოლო როცა ამ ღელეების მოქმედებას აკვირდებით ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ღელეები აქნაირათვე მოქმედებდენ წინათაც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და მაშინ წარმოიდგენთ კიდეც თუ რანაირათ იცვლება მიწის ზედა პირი წვიმის მოქმედებით.

სან—იხი.

ა ზ ნ ა

№ V ჟურნალ „ჯეჯილის" გამოცანებისა.

არითმეტიკული ამოცანა: როდესაც ბიძია გახდებოდა 72 წლისა, მაშინ ყმაწვილი 24 წლისა შეიქნებოდა, სამჯერ პატარა იქნებოდა. გამოიცნო თამარა მიქაბერიძისამ.

აკროსტიხი: თაეადი.

შარადა: იადონი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.